

თენგიზ ცაცხლაშვილი

ერისკაცი



განტანგ ახვლედიანი

თენგიზ ცეცხლაშვილი

ერისკაცი



ბათუმი
2012

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ მამუდის ძე ახვლედიანი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ვახტანგ ახვლედიანმა აჭარაში – საქართველოს უღამაზეს, უმშვენიერეს კუთხეში გაატარა. იგი ღირსეული შთამომავალი იყო იმ დიდი ქართველებისა, რომლებიც თვალისჩინოვით უფროსილდებოდნენ მშობლიური მიწის სანახებს და დამპყრობელთა სამასწლოვანი ბატონობის დროსაც კი არ ჰკარგავდნენ დედასამშობლოსთან მიერთების იმედს. ვახტანგ ახვლედიანს სრულად ჰქონდა გასიგრძელებული მწერლის ისტორიული მისია აჭარაში და თავგანწირვით იცავდა იმ ბასტიონებს, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობის სიმტკიცე და დუღაბი ჰქვია. ვახტანგ ახვლედიანი დაიბადა 1939 წლის 10 აგვისტოს დაბა მახინჯაურში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტ-

**წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის მინდა
მადლობა გადაუხადო
ქალბატონ ნანა დიასამიძეს და ბატონ ჯემალ მეგრელიძეს.**

წიგნი გამოცემულია ასლან კაკაბაძის თანადგომით.



ერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1967 წელს დაამთავრა. მას შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა მახინჯაურის ბავშვთა სახლის უფროს პიონერხელმძღვანელად, ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგედ, ბათუმის ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად, გაზეთ „სოვეტსკაია ადუარიას“ რედაქტორის მოადგილედ, აჭარის მთავლიტის მმართველად, აჭარის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ, აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, გაზეთ „ადუარიას“ რედაქტორად. ყველგან, სადაც კი იმუშავა ღირსეულად უძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამაყად და შეურცხვენლად ატარებდა ქართველი მწერლის სახელს.

ვახტანგ ახვლედიანის სამწერლო ნათლობა 1967 წელს შედგა, როდესაც კრებულში „სათავეებთან“ დაიბეჭდა მისი პირველი ნოველა „მანანა“. მას შემდეგ მწერლის რომანები, ნოველები, მოთხრობები, მხატვრული თარგმანები, ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ვახტანგ ახვლედიანის პროზაული და პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ბომბო“, „ბერიკაცები“, „სივრცე“, „მოტაცება“, ორტომეული, „იდუმალების

ძაფი“, „დალი ქვარიანის შეცდომა“, „კალთისხევის საიდუმლოება“, „ფერიცვალება“, „ნათია“, „სიყვარულის ავტორგრაფია“, ქართველი მკითხველის დამსახურებული აღიარებით სარგებლობს. მისი პიესები „მეგობრობის ძალა“, „სტუმრები ზღაპრების ქვეყნიდან“, „აჭარული ჩანახატები“ წარმატებით დაიდგა ქართული თეატრების სცენაზე.

ვახტანგ ახვლედიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ლიტვურ, თურქმენულ, ბულგარულ, სლოვაკურ, ფინურ, რუსულ, სომხურ, ტაჯიკურ ენებზე. მან თავადაც ჩინებულად თარგმნა უცხოური მწერლობის არაერთი წარმომადგენლის ქმნილებანი.

ვახტანგ ახვლედიანის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და ბულგარეთთან მეგობრობის ოქროს მედლით. მინიჭებული ჰქონდა აბუსერისძე ტბელის, აკაკი წერეთლის სახელობის, ჟურნალ „პაოს-ქართლოსის“ პრემიები. იყო აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. ჩინებულ მხატვარს ხუთი პერსონალური გამოფენა ჰქონდა მოწყობილი. იყო ბრწყინვალე ვოკალისტი და პროფესიულ დონეზე ასრულებდა კლასიკურ რომანსებს. ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ვახტანგ ახვლედიანი – ძვირფასი კოლეგა, შემოქმედი, მამულიძვიდი.

საქართველოს მწერალთა კავშირი,

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია



2012 წლის 31 მაისი იდგა. დილის თორმეტი საათისთვის მე სხვებთან ერთად ბატონ ვახტანგ ახვლედიანის სახლის სადარბაზოსთან ვიდექი და ჩვენს წინ ჩამოსვენებულ მის ცხედარს დავეურებდი, რომელსაც ჭირისუფალი ეხვია გარს. ის დვთისმშობლის ტაძარში გადაგვყავდა, საიდანაც ბოლო გზაზე უნდა გაგვეცილებინა. ამ დროს მობილურის ხმამ გამომაფხიზლა. ზარს ვუპასუხე. ხაზზე ნაცნობი ხმა მესმოდა, მას ამდღეებელი განწყობა და შემართება ეტყობოდა, როგორც მას სჩვეოდა ხოლმე, ეს ანზორ სოლომონიძე იყო, რომელიც გასული წლის 21 მაისს ცნობილი მოვლენების შემდეგ „სახალხო კრების“ წევრებთან: დიმიტრი ჭეიშვილთან, დავით ფარტენაძესთან, გოჩა მუხაშავერიასთან, ცოტნე ანანიძესთან და ელგუჯა გამარჯვებაძესთან ერთად ბათუმის კრების ოფისში დარბევის შემდგომ დააპატიმრეს პოლიტიკური ნიშნით და უდანაშაულოდ იხდიან სასჯელს. – თენგიზ როგორა ხარ, გეგუთის ციხიდან გირეკავ, ანზორი ვარ სოლომონიძე, ცოტა დრო მაქვს, ჩემთან აგერ ბიჭები არიან: – ცოტნე ანანიძე და ელგუჯა გამარჯვებაძე და მოკითხვას გითვლიან, ჩვენები როგორ არიან ბიჭო?! გაოგნებული დავრჩი, ამ ზარს ნამდვილად არ ველო-

დი, ვერაფერი ვუპასუხე სანაცვლოდ, მელაპარაკე ცოტა დრო მაქვსო გამიმეორა, რამ დაგაბნიაო. ოღნავი პაუზის შემდგომ, როდესაც გონს მოვეგე და გავიაზრე ყოველივე, ვუპასუხე – ვახტანგი ახვლედიანის ცხედართან ვდგანვარ–მეთქი... იქიდან სასოწარკვეთილმა ხმამ დაიღრიალა – ვაიი... ბიჭებო დავიდუპეთო და ტელეფონიც გაითიშა...

შემდგომ ვახტანგის უახლოესი მეგობრის ასლან კაკაბაძის მაქანაში მოვიკალათე სადაც განსვენებულის მეგობრები: იზეკ გაგულაშვილი, ედიბ აბაშიძე და „სახალხო კრების“ აჭარის რეგიონის თავმჯდომრის მოადგილე – ცისკარ გოგიტიძე მელოდებოდა. მათ ყოველივე ვამცნე...

ბატონი ვახტანგის გამოსამშვიდობებლად ზღვა ხალხი იყო მოსული, იყვნენ ჩამოსულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, მათ შორის იყვნენ „სახალხო კრების“ წარმომადგენლებიც ბატონი თემურ შაშიაშვილის ხელმძღვანელობით.

ბოლო გზაზე ჩემი უფროსი მეგობრის გაცელება ვიკისრე და მას „კატაფალკაში“ ჩავუჯექი და სასაფლაომდე გავაცილე, ბოლო გზაზე მიმავალს მეგობრულად ვესაუბრე, ისე, როგორც ვსაუბრობდით ხოლმე კაცურად, ერთის გამონაკლისით... ამჟამად ის მხოლოდ მისმენდა...

იმ ქვეყნიურ სასუფეველში ბოლო გზაზე მიმავალ ბატონ ვახტანგს, საზოგადოება გამოსათხოვარი სიტყვით დაემშვიდობა.



ასე დავემშვიდობეთ დიდ ქართველს და ერისკაცს! ის მუდამ ჩვენთან იქნება.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული სამუდამო სასუფეველში!

დიდი ქართველის, ერისკაცის – ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების ამბავი 26 მაისს ღვთისშობლის ტაძარში გავიგე, სადაც „სახალხო კრების“ წევრებთან, ერთი წლის წინათ 26 მაისის სისხლიანი კალო გამოვიარეთ და თანამოაზრეთა დაღუპულთა პანაშვიდს ვისდიდით...

ბატონ ვახტანგ ახვლედიანს: – პოეტს, მწერალს, მხატვარს და საზოგადო მოღვაწეს ვინ არ იცნობს საქართველოში და არა მარტო საქართველოში, მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. ის 72 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. სამგლოვიარო ცერემონიალი ბათუმის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში გაიმართა. ვახტანგ ახვლედიანი 31 კრებულისა და 2 რომანის ავტორია. მისი პოეზია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იქმნებოდა. მწერალი და საზოგადო მოღვაწე ღირსების ორდენის კავალერი, აკაკი წერეთლისა და ტბელ აბუსერიძის პრემიების ლაურეატი და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი გახლდათ. ახვლედიანი „სახალხო კრების“ დაარსებიდან აჭარის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, აქტი-

ურად მონაწილეობდა 2011 წლის 21–26 მაისის საპროტესტო აქციებში.

მისი პიროვნება ახლოს გავიცანი 2010 წლის მარტის თვეში, როდესაც ის კენჭს იყრიდა მაჟორიტარ დეპუტატად ოპოზიციის მხრიდან ადგილობრივი თვითმართელობის არჩევნებში, მან მთხოვა სათავეში ჩავდგომოდი მის საარჩევნო კომპანიას, რაზედაც თანხმობა განვაცხადე.

იქიდან მოყოლებული დაიწყო ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა. თუმცა მან მალე მოხსნა თავისი კანდიდატურა არჩევნებიდან და მეც მაშინვე ავიკარი ჩემი გუდანაბადი, რადგან მომავალი არჩევნების სამართლიანობაში ორივეს ეჭვი შეგვეპარა...

იმავე წლის სექტემბრის თვის ბოლო იდგა. აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან გამოსულს, მემედ აბაშიძის გამზირზე მიმავალს ბატონი ვახტანგ ახვლედიანი შემომხვდა. გულთბილი მისალმების შემდეგ მისაყვედურა – რატომ არ ჩანხარ ამ ბოლო დროს, ხომ მშვიდობააო? – მშვიდობაა ვუპასუხე ბატონ ვახტანგს, ამჟამად სახლში ვზივარ და წიგნზე ვმუშაობ მეთქი. საქმიანობა მომიწონა და შემდეგ კი დასძინა – ჩემო მეგობარო „სახალხო კრება“ დაფუძნდა დედაქალაქში, მალე ბათუმშიც დაფუძნდება და მინდა რომ გვერდით მყავდე, გამიღიმა მისთვის ჩვეული ღიმილით და დამემშვიდობა.



და ჩვენ ისევ ერთად ავლმოჩნდით სხვა უამრავ პატრიოტთან ერთად, რათა ხმა აგვემაღლებინა ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ, თუმცა ეს თემა შორს წაგვიყვანს, ამის შესახებ მე უკვე გამოვეცი სამი წიგნი: „სასიკვდილოდ გამეტებულნი“, „26 მაისის სისხლიანი კალო“ და „სისხლიანი მაისის ექო“, რომელიც ტირაჟის სიმცირის გამო „აჭარა P.S“-ის რედაქციამ რამოდენიმე ნომერში გააშუქა...

ძნელია წარსულში ილაპარაკო ისეთ ადამიანზე, როგორც ბატონი ვახტანგ ახვლედიანი ბრძანდებოდა. ის უფალს მრავალმხრივი ნიჭით დაუჯილდოებია. უჭრიდა როგორც კალამი: პროზა, პოეზია, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ავტობიოგრაფიული ჩანახატები კი მისი სტიქია გახლდათ. როცა კალმს გადადებდა, ხელში ფუნჯი ეჭირა და ხატავდა, ხატავდა ბრწყინვალედ, მის სურათებს არა ერთი პერსონალური გამოფენა დაუმშვენებია, ასევე, დიდ პროფესიონალურ დონეზე ასრულებდა კლასიკურ რომანსებს, გახლდათ განუმეორებელი თამადა, კაცს მოლხენას შეარგებდა...

აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ ბატონი ვახტანგი ხშირად შეხვედრისას უკმაყოფილებას გამოხატავდა უმეტესად მწერლებზე და ემდუროდა ინტელექტუალის დიდ ნაწილს, რომლებიც შეგუებულნი იყვნენ საქართველოში გამეფებულ მოვლენებს და თავის აზრს არ გამოხატავდნენ...

ბატონი ვახტანგ ახვლედიანის მწერლობის სიღრმადეს ნამდვილად ვერ გადმოგცემთ და ამას ვერც მოვახერხებ, მაგრამ მან თავისი ჩანაფიქრი წიგნების სახით დაგვიტოვა, მასზე იმდენი რამე დაიწერა, მისი მეგობრების მხრიდან, რომ სათქმელიც არა დამრჩა რა, მხოლოდ ერთ რამეს დავძენ, ის გამოირჩეოდა სიღრმისეული წვდომით, შეეძლო ათეული წლებით ადრე გამოეცნო და ეწინასწარმეტყველა ყოველივე მოსალოდნელი მოვლენა, რაც აისახა კიდევ მის მიერ 1982 წელს კომუნისტური პერიოდის წლებში გამოცემულ წიგნში „დახილი“, რომელიც გამოცემის დღიდან გახდა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. ამ რთულ ნაწარმოებში მისტიკურ ფერებში წარმოჩენილი მხატვრული სახეები გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან უფრო აქტუალური გახდა.

მახსოვს გასული წლის 21 მაისის „სახალხო კრების“ ოფისში დარბევის, მისი წევრების დაპატიმრების შემდგომ, როგორ შევიკრიბეთ დარჩენილი წევრები მეორე დღესვე და ქალაქში პროტესტის ნიშნად მსვლელობა მოვაწყვეთ. ის თავისი უშიშარი, მგზნებარე გამოსვლით და რაინდული ქცევით ყველასათვის მაგალითის მიმცემი გახლდათ. უფლება არა მაქვს არ აღვნიშნო, რომ ბატონი ვახტანგი საპროტესტო აქციებში ოჯახის წევრებთან: ქალბატონ ნაირა ჯიჯავაძესთან და ქალიშვილთან – ზეინაბ ახვლედიანთან ერთად



იყო ჩართული, ხოლო უმფროსი ქალიშვილი – ხათუნა ახვლედიანი აქციებში მცირე წლოვანი ბავშვის გამო ვერ მონაწილეობდა. მის გვერდით, მას თავის განუყრელი მეგობრებიც: იზეკ გაგულაშვილი და ედიბ აბაშიძეც ედგა.

ვახტანგთან ხშირი სატელეფონო საუბრები მქონდა. ერთხელ მარტის შუა რიცხვები იდგა. ის ძალზედ ცუდათ გახლდათ. დამირეკა და მასთან სახლში მისვლა მთხოვა, როგორც მეძახდა ხოლმე საჭირბოროტო საქმეებზე. დამიჯდა და მამა-შვილურად დამარიგა, ბევრ რამეზე თვალი ამიხილა, შემდგომ მითხრა: ჩემს თავს ვატყობ მე დიდი დრო არ დამრჩენია, ამის შესახებ იზეკმა და ედიბმა იციან და ეცადე ასლანთან არ წამოქცდესო ჩემი ამბავი, მას ძალზედ ჩვილი გული აქვს და ინერვიულებსო... ის ყველას უფროთხილდებოდა, ძალზედ ნერვიულობდა დავით ფარტენაძის დაპატიმრების გამო, რომელიც მას მუდამ მხარში ედგა და მის უსაფრთხოებას პირნათლად იცავდა. თავის თავს ვერ პატიობდა იმას, რომ მას სამი შვილი დარჩა და ვერ შველოდა...

მისი გარდაცვალების შემდგომ მივხვდი, რომ ჩემს ადგილზე მყოფ ადამიანს, ხელში კალამი უნდა აეღო და მასზე დაეწერა. დასაფლავების შემდგომ ვახტანგის წიგნების კითხვას ისევ დავუბრუნდი, რომ მისი ხმა გამეცოცხლებინა და მისთვის მესმინა. გადავშალე წიგნი „ძახილი“, რო-

მელიც მან მისახსოვრა და მის წარწერას ჩაუღრმავდი, მკრეხელობაში ნუ ჩამითვლის მკითხველი ამის გამომზიურებას, მაგრამ ამან უფრო განმიმტკიცა ის აზრი, რომ მას კალმით უნდა მოვფერებოდი. – „თენგიზ ცეცხლაშვილს, სიკეთითა და გულისხმიერებით გამორჩეულს, ქვეყნის სამსახურში უკომპრომისო პიროვნებას, ლიტერატურულ თანამოძმეს, გულწრფელად და ძმურად. ვახტანგ ახვლედიანი 08. 08. 2011 წ.“

ეს მისი სიტყვები ჩემდამი სავიზიტო ბარათად აღვიქვი, ეს ყოველივე იმის შემდგომ რაც 26 მაისის სისხლიანი კალო განვლე (იქ აჭარის რეგიონის „შეფიცულებს“ ვხემძღვანელობდი)... ამ დღის შემდგომ „სახალხო კრების“ წევრებმა, ვინც ეს საშინელება გამოვიარეთ, გაგვიათასმაგდა ამ რეჟიმისადმი წინააღმდეგ პროტესტის მუხტი...

ხოლო აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე, საზარელ სიცივეში და კოკისპირულ წვიმაში როდესაც გამოვიდა ვახტანგ ახვლედიანი თავისი მგზნებარე სიტყვით ჩემდა და სხვების მოულოდნელად, რასაც მქუხარე ტაში მოყვა (მას ხმა ჩახლექილი ჰქონდა და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა), როდესაც მიტინგს ტოვებდა, მივმართე: ბატონო ვატანგ რატომ გვანერვიულებთ—მეთქი, მან სევდა გარეული ღიმილით გამიღიმა და მიპასუხა: სადაც ვიწროა იქ გაწყდესო! და იქაურობას გასცილდა. როგორც



მერე გავიგე, ის მანქანით მოუყვანიათ მიტინგზე მისივე დაჟინებული თხოვნით. აბა ვახტანგს ვინ დააკავებდა, მითუმეტეს თუ რაიმე აიხირა. ის ყოველთვის შემართული იყო, მის გვერდით დგომა საპატიო გახლდათ, ამას ბევრი მომავალში გაიგებს, თუ რას ნიშნავს ავტორიტეტული და მართალი კაცის გვერდით დგომა! ის ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, იმ ზოგიერთ არაკაცზე, რომლებიც ბინძურ ენებს ხლართავდნენ კუთხის მიმართ ყოველივე იცოდა, მაგრამ მათ პატიობდა, მომავლის იმედით იყო, რომ ერთ დღეს გონს მოეგებოდნენ. ის ხომ სულგრძელი და მიმტეგებელი ადამიანი გახლდათ და მეც იგივეს მომიწოდებდა, როდესაც განრისხებული ვიყავი მათ მიმართ, შემახსენებდა: – ქრისტიანი კაცი ხარ და შენდობა უნდა იცოდეთ...

ვახტანგს ყოველთვის ჰქონდა იმის შიში, რომ ამ რეჟიმის ჩანაცვლება არ მომხდარიყო და რომ სათავეში ეროვნული სულისკვეთების მთავრობა უნდა მოსულიყო, თორემ საქართველო დაიდუპება ამ უღმერთოების ხელში – ამბობდა იგი. ამ თემაზე მას ხშირად უსაბრია „სახალხო კრების“ წევრებთან.

არ მინდა წინასწარი პროგნოზი გავაკეთო, მაგრამ თუ დაიწყო ჩაძირული ნავიდან გადმოსხლმა აქეთა ნავში და მათი სახელების „გმირებად“ შერაცხა, ეს დამლუპველი იქნება საქართველოსთ-

ვის. ისმის კითხვა, სად იყვნენ მაშინ, როდესაც ხალხს უჭირდა და ხმას არ იღებდნენ?! ..

მინდა პატარა ამონარიდი მოვიყვანო ჩემი წიგნიდან „გაცრუებული იმედები“, სადაც ბატონ ვახტანგთან ერთად ჩამოვაყალიბეთ აზრი ჩვენ კუთხესთან მიმართებაში.

„ჯერ კიდევ ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე აჭარასთან მიმართებაში ცენტრს სშირ შემთხვევაში არაობიექტური, ზედაპირული წარმოდგენა აქვს და ეს ხდება ზოგიერთი უღირსი, ადგილობრივი ვაი პატრიოტების მეშვეობით, რომლებიც ხელმძღვანელობას ცრუ ინფორმაციებს აწვდიან, რაც მათ „სავიზიტო ბარათებს“ წარმოადგენენ.

მაგრამ ხალხი ბრძენია, მათ კარგად იცნობს აჭარის საზოგადოება. ზოგიერთი მათგანი დღესაც, თავისი არაადეკვატური საქციელით რბილად რომ ვთქვა: განაგრძობენ თავიანთ „შემოქმედებას“ და ამით ავტორიტეტს ურყევენ იმ საზოგადოების წევრებს, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ...

აქ ერთიც უნდა ითქვას: პარტიათა განუზომელმა სიმრავლემ შექმნა ე.წ. „შიდა სამზარეულო“. დღეს ესენი დაკავებულნი არიან ერთმანეთის სამხილებელი ინფორმაციების მოპოვება – მიწვდენით. შესაბამისად, შემუშავდა იმავე „შიდა სამზარეულოს“ უსაფრთხოებაც და ეხლა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს,



თავადვე ელანდებათ აგენტები. ზოგი დაკავებულთა თავისივე პარტიელის დისკრედიტაციით და „ზემოთ“ კომპრომატების მიწოდებით. ის კი არ იცინა, რომ იმ „ზემოთ“ მყოფებსაც ჰყავთ თავიანთი ინფორმატორები „ამათვე“ წინააღმდეგ. ასე ითესება და მკვიდრდება საზოგადოებაში ჩაშვება-დამუშავების უსინდისო და უზნეო მეთოდები.

ყოველივე ამის შემყურე ხალხი იმედს ჰკარგავს მომავალზე. აღარ იცის, ვის მიენდოს. ისეთ დღეში ჩააგდეს ადამიანები, რომ იძულებული გახადეს რაღაც ოციოდ ლარად გაყიდონ საკუთარი ხმები. „მყიდველები“ კი სავარძლებს ინაღლებენ და ცხოვრებას იწყობენ.

მოსახლეობაში თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად იკარგება და ითრგუნება ის დიდი ძალა, რასაც ეროვნულობა და პატრიოტიზმი ჰქვია. ასეთი გზებით მოსული პარტია ხალხის საკეთილდღეოდ არასოდეს იზრუნებს“.

„სახალხო კრება“, მითუმეტეს ჩვენ, აჭარის რეგიონის ორგანიზაცია დიდ დანაკლის განვიცდით ვახტანგი ახლელდიანის გარდაცვალების გამო. ის წავიდა „სისხლიანი კალოს“ ერთი წლის თავზე, თითქოსდა პროტესტის ნიშნად თავი შეახსენა ამ რეჟიმს... დაცარიელდა აუდიტორია, სადაც ვახტანგი მართალი სიტყვით ქადაგებდა და ჩვენს რეგიონს ერთ მუშტად კრავდა. უკმარისობას განვიცდით მისი მჭერმეტყველი სიტყვა-პა-

სუხის გამო. იმათ გასაგონად ვიტყვი, ვინც არ იცის სიტყვის ფასი და მისი მაგიური ძალა, ახლა მაინც მიხვდნენ თუ რას ნიშნავს ავტორიტეტული, მართალი კაცის სიტყვა, მითუმეტეს ისეთის, როგორიც ბატონი ვახტანგის ფენომენი გახლდათ. აქ ერთს ვიტყვი, ერთხელ როდესაც ჩემს ტექსტზე კომპოზიტორი სიმღერას წერდა, ასე მითხრა: მე მუსიკას სიტყვა და მისი შინაარსი მაწერინებს. მას სულში და გულში შემოაქვს დიდი მუხტი და განწყობა, ხოლო სიტყვის გარეშე არაფერი იქნებაო... ჰოდა იმათ გასაგონად, ვინაც რომ სკამებისთვის იბრძვიან, სიკეთეს ვერ მოუტანენ ხალხს და ჩვენც არ უნდა მივცეთ მათ საშუალება სათავეში მოსვლისა, კიდევ ერთჯერ გავმეორდები სიტყვა მუხტია, სიტყვა ერთ მუშტად კრავს ერს და ის აუცილებლად უნდა მოდიოდეს მართალი, ავტორიტეტული, ვაჟკაცი ადამიანიდან, როგორიც გახლდათ ერისკაცი – ჩვენი ვახტანგ ახვლედიანი! – დიდი ვაჟა ბრძანებდა: „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღია ერის წინსვლისა და ცხოვრების გაუკეთესებისა“.

ბატონ ვახტანგზე სალაპარაკოს რა გამომიღევეს, გასახსენებელი ბევრი მაქვს, თუმცა ამაზე მერე, როდესაც მე მასთან ერთად სხვა განზომილებაში და სხვა წიგნის ფურცლებზე აღმოვჩნდები, სადაც იუმორიც იქნება და სევდა ნარევი მოგონებანიც, რაზეც გვისაუბრია და რაც დაგვრჩა კიდევ გასა-



კეთებელი, ახლა ამით უნდა შემოვიფარგლო და ვახტანგს უნდა დაუთმო სიტყვა, მის შემართებას, მის ბრძნულ აზრებს და მის გულის ტკივილს... მხოლოდ ერთ რამეს დავძენ, ის ყველას კალმით რუდუნებით ეფერებოდა: ნათესავეებს, მეგობრებს, ნაცნობებს, ამ მხრივ მეც მერგო მისი მხრიდან ყურადღება, პირველად როდესაც ჩემი წიგნის „26 მაისის სისხლიანი კალო“ პრეზენტაცია იყო გასული წლის დეკემბერში, რომელიც გაზეთ „აჭარა P.S.“ -ის რედაქციაში მოეწყო, ტელეარხებს მისცა ინტერვიუ და მეორედ კი თბილისში „სახალხო კრების“ კონფერენციაზე მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე აღნიშნა ამ წიგნის მნიშვნელობა, (ამის შესახებ მან სათანადო ჩანაწერიც გადმომცა ა/წლის 9 აპრილს მის ქალიშვილთან ზეინაბთან ერთად და დასძინა: გამომართვი ეს შენ გამოგადგუბაო), ამით იმის თქმა მინდა, რომ არავის არაფერს არ უკარგავდა, ამის უნარი მხოლოდ დიდ ადამიანს შესწევს.

საქართველოს დააკლდა ერისკაცი, სიტყვის და საქმის უბადლო რაინდი, კოლორიტული პიროვნება, დიდი ქართველი და ჩვენთვის დაუვიწყარი, მამულისათვის გულანთებული მებრძოლი და უკვადვეყოფილი – ვახტანგ ახვლედიანი. ვედარ ვიხილავთ ბათუმის ქუჩებში და მის სანაპიროზე აუჩქარებელ ნაბიჯებით მოსიარულე, ლამაზი მიხრა–მოხრის მქონეს, ყოველთვის გემოვნებით

ჩაცმულს, სიმპატიურ ადამიანს მის განუყრელ მეგობრებთან ერთად, რომლებსაც ჩვენთან ერთად გული დაგვწყვიტა და ობლად მიგვატოვა...

მშვიდათ იძინე ჩემო უფროსო მეგობარო, ვაჟაკო, მამულისათვის თავდადებულო და სამაგალითო ადამიანო – ჩვენს საქმეს, რასაც სამშობლოს სიყვარული და მისი ხვალისდელი, გაბრწყინებული საქართველო ჰქვია და რისთვისაც ვიბრძოდით, უსათაუოდ ღმერთის წყალობით გამარჯვებამდე მივიყვანო, ამ სიტყვების უკან ჩვენი ვაჟკაცი, მაისის სისხლიანი კალოს გამოვლილი მეგობრები დგანან და მხარს მიმაგრებენ! რითაც თქვენ ამაყობდით. შორს არაა ის დღე, თქვენს გვერდით მდგომი მეზობელი გუნდის წევრები საფლავთან მოვალთ და გამარჯვებას მოგილოცავთ – ვფიცავთ!

**მამულისათვის ვინც გახარჯულა
ის ღმერთისაგან დალოცვილია,
სამშობლოსა და ერის წინაშე
უკედავია და ვალმოსდილია!**

ავტორი

16. 06. 2012 წ.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - შრომგაბნევი



ცხოვრების ჩემის გზაბაწარებზე
მხოლოდ მამულზე ფიქრით მივლია,
ერის ტკივილით განაწამები
სულის ვარსკლავი არ ჩამიქრია.

ვახტანგ ახვლედიანი

ვახტანგ ახვლედიანი მამულის საღარაჯოზე

ვახტანგ ახვლედიანის გამოსვლა
2010 წლის 29 სექტემბერს თბილისში,
სახალხო წარმომადგენლობითი კრების
მოსამზადებელ კონფერენციაზე

წლების მანძილზე დაჩაგრული აჭარის მოსახლეობა განსაკუთრებული იმედით უყურებდა ახალი ხელისუფლების მოსვლას. სამწუხაროდ, იმედი უზარმაზარ გულგატეხილობად იქცა.

ვერავენ გაიგო საით მივდივართ, რა ქვეყანას ვაშენებთ, რა ფასეულობებზე ვზრდით მომავალ თაობას, ვერავენ გაიგო რატომ ვიქეციით საცდელ „ვირთხებად“. ფაქტი ერთია, დღევანდელი ხელისუფლება ხელაღებით ებრძვის ჩვენს სულიერებას, კულტურას, ისტორიას,... ჯერ მემედ აბაშიძის ძეგლს ეცნენ, შემდეგ ილია ჭავჭავაძეს, მოთხ-



არეს, მოგლიჯეს და თეატრის უკან გადააგდეს... ბულვარში იყო კლუბი, რომელსაც ერქვა „ნონა“, რა გასაკვირია ამ ხელისუფლებისგან, რომ მათ დღეს სხვა სახელი ჰქვია...

ხალხს ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ჩვენც იმიტომ ჩამოვედით აჭარიდან, რომ ყველა ერთად დავდგეთ. საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლობაა აქ თავშეყრილი. ჩვენ დიდი ძალა ვართ და დიდი ძალის ძალიან ეშინიათ.

მჯერა, რომ სახალხო კრება სრულიად საქართველოს კრებად გადაიქცევა და ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდება ტირანიისგან.



სიყვარულითა და ტკივილით ნათქვამი

მგონი არავინ ჩამითვლის მიკერძოებად თუ ვიტყვი, რომ აღორძინების ხანა სწორედ საქართველოდან დაიწყო. მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების უდიდესი ძეგლი – „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გახლავთ მაღალი ჰუმანურობის, დიპლომატიის, სიყვარულისა და მეგობრობის უბადლო ჰიმნი.

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, – ბრძანა დიდმა რუსთაველმა და საუკუნეებს გადასწვდა.

გავიდა შვიდი საუკუნე და ამერიკაში (1809 წელს) დაიბადა აბრამ ლინკოლნი – პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, შემდგომში ამ ქვეყნის ლეგენდარული პრეზიდენტი.

„მე ვსპობ ჩემს მტრებს, მე მათ მეგობრებად ვაქცევ“, – თქვა მან.

ორმა დიდმა მოაზროვნემ სხვადასხვა ეპოქაში ერთი და იგივე ჭეშმარიტება ბრძანა.

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“, – საუკუნეების სიღრმიდან მოდის ეს ქართული ხალხური მარადიული ჭეშმარიტება. ეს – უფალთან მიახლოებაა, ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

თამარ მეფემ, ნიკოფსიიდან დარუბანამდე გადაჭიმული სამეფოს მონარქმა, აღჭურვილ-

მა ერთპიროვნული მართვის ყველა უფლებით, მსოფლიოში პირველმა შექმნა დარბაზი, იგივე პარლამენტი, სადაც საჯაროდ განიხილებოდა ქვეყნისათვის ყველა საჭირობოროტო საკითხი.

ეს გახლდათ თავისუფალი აზროვნებისადმი პატივისცემის მაღალი გამოხატულება.

მხოლოდ საუკუნის შემდეგ, 1215 წელს, ინგლისში, ედმონდის სააბატოში, შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის ქარტია“, რომელიც „თავისუფლების ქარტიად“ მოიხსენიება.

თავისუფალი აზრი თავისუფალი არჩევანის უფლებაა. თავისუფალი არჩევნები უკეთესის ძიების უწყვეტი პროცესია.

რაკი არჩევნებს შევეხე, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლება მის ხელთ არსებული ყველა დაუშვებელ და დაშვებულ რესურსს იყენებს ხალხის ნების ჩასაკლავად. პოლიცია, ჯარი, სახელმწიფო თუ საჯარო სამსახურები არჩევნიდან არჩევნებამდე ტოტალური გაყალბების უტყუარ ინსტრუმენტებადაა ქცეული, თითქოს ეს არაა საკმარისი, 10–15 წლის წინ გარდაცვლილებიც შეჰყავთ სიაში. ალბათ გახსოვთ, იყო ასეთი გამოთქმა – საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მსოფლიოში. „დღეს ქართული მიცვალებულები ყველაზე ცოცხალი მიცვალებულებია მსოფლიოში – რამდენიმე წელია მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი



მართავს ქვეყანას“, – მოსწრებულად წერს ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა.

ამიტომაც ვართ ამ დღეში.

1979–82 წლებში, ე.წ. განვითარებულ სოციალიზმის დროში, შევქმენი მძაფრსიუჟეტის პუბლიცისტური პოემა – „დახილი“. წინასწარგანცდით ვწერდი იმ პოლიტიკური და სოციალური კატაკლიზმების შესახებ, რომლებიც 90-იანი წლებიდან გაცხადდა და დღესაც გრძელდება:

„რა ჰატარა ხარ, რა უმწეო –
ასე ძლიერი,
შესდუღული, უსასრულო თვალსაწიერით.
დაგიქსელავს უჩინარი მარვთულსლართები
და იმსხვრევა შენს სხეულზე სულის ტამკები.
ეველაწმინდა, ეველასუფთა გათელილია
და მამულის გადარჩენის სუნთქვაც მწირია.
ცის უსასღვრო გუმბათიდან ესმის მირიადს:
„შესდექთ, შესდექთ, უგუნურნო, მე ვარ ილია!–

ვერ აგიხსნით, რამ დამაწერიხა მაშინ:

„სულით და ძარღვით უთვისტომო, უცხო სხეული,
უძართავი, უმადლარი, უშნო, გრძნეული,
კაცი ზონზროხა და ჭკუამრუდი
ჰატიოსნების მაგიდას უზის ...

ეს პატარა ამონარიდებია „დახილიდან“.



2001 წლის მარტში ჯერ გაზეთ „აჭარის“, შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი წერილი – „სანამ გვიან არ არის, პრეზიდენტო!“, სადაც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ვურჩევდი – „ვიდრე ჯერაც შეიძლება ქვეყნის შევლა, გადადექით და სახელმწიფოს მართვა ღირსეულს ანდეთ, თორემ მალე ისეთი ძალა მოვა“...

არ ვიყავი მართალი?

2003 წლის 15 ივლისის „მართალი გაზეთის“ (თბილისში გამოდიოდა) ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი ვრცელი ინტერვიუ. ჟურნალისტის შეკითხვას – „თუ მეთორმეტე საუკუნის საქართველო თამარმა ააყვავა, იქნებ ახლა ნინოს ჯერია?“, ვპასუხობ: – ნინო ბურჯანაძე განათლებული, დახვეწილი და თავდაჭერილი პიროვნებაა. მომწონს მისი ხედვა, პოლიტიკური პროცესების წვდომა და ანალიზი, იგი სპიკერია, მეორე პირი ქვეყანაში. ვფიქრობ, მისი „ნაციონალებისაკენ“ ან „გაერთიანებული დემოკრატებისაკენ“ გადახრა ავტორიტეტს მკვეთრად შეურყევს...

ვცდებოდი?

2005 წლის 17 ოქტომბრის გაზეთ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ვრცელი ინტერვიუ სათაურით „ათი შეკითხვა ქართველ მწერალს“. ჟურნალისტის შეკითხვას – თქვენი აზრით, როგორი სახელმწიფოა საქართველო – დამოუკიდებელი,



კოლონიური თუ ნახევრადკოლონიური?... ვპასუხობ: – მოდით, ჯერ გავარკვიოთ, არის თუ არა საქართველო სახელმწიფო.

სახელმწიფოს უპირველესად, სახელმწიფო საზღვრები უნდა ჰქონდეს, მკვეთრად გამიჯნული და დაცული. გვაქვს?

დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს. გვაქვს?

დამოუკიდებელი სასამართლო უნდა ჰქონდეს. გვაქვს?

ეროვნული ეკონომიკა უნდა ჰქონდეს, უპირატესად ექსპორტზე გათვლილი. გვაქვს?

სახელმწიფო საკუთარ მამულს, ენას, ერს უნდა იცავდეს. იცავს?

სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს უნდა იცავდეს. იცავს?

სახელმწიფო საკუთარ სარწმუნოებას უნდა იცავდეს. იცავს?

საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ ოჯახებში საკუთარი მოქალაქეების ადამიანურ უფლებებს უნდა იცავდეს. იცავს?

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო საკუთარი ძალოვანი სტრუქტურებისაგან საკუთარ პრემიერ-მინისტრებს ხომ მაინც უნდა იცავდეს. იცავს?

არის საქართველო სახელმწიფო?

დიდი საადი თავის „გოლდესთანში“ წერდა. ქვეყანას ძლიერებისათვის სჭირდება სამი რამ –

მშვიდობა, ვაჭრობა (ანუ ეკონომიკა) და ჭკვიანი ხელისუფლებათ.

ამ სამი აუცილებლობიდან რომელი გააჩნია ჩვენ ქვეყანას?

საქართველო ყოველთვის იყო სოფლის მეურნეობის ქვეყანა. რა კულტურა არ მოდის აქ. სამ-წუხაროდ, დღეს სოფელი ჩაკლულია. ერთ დროს სტრატეგიული ჩაი, ციტრუსი, ვენახი დღეს აღარავის აინტერესებს. ჩვენი მინერალური წყლები უნიკალურია მსოფლიოში. დღეს ტყუილად იღვრება ისინი. ეს იმიტომ, რომ სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაში ვიმყოფებით.

სადამდის?

„მჯერა შევძლებთ საქართველოს გამთლიანებას, თუ სწორედ ვიმოქმედებთ, – წერს ზურაბ ნოღაიძელი, – აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი გვიყვარს და მათთან ურთიერთობა გვინდა, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს გაერთიანება გვსურს. თუ გულში ნადებს დაფარავთ და მართლები არ ვიქნებით, აფხაზების ნდობას ვერ დავიმსახურებთ“.

პატარა ქვეყანა ვართ. ომი კი არა, ბაზარი გვჭირდება. მსოფლიო ბაზარზე ერის მრავალმხრივი ნიჭით და რესურსებით გასვლა კეთილდღეობას მოიტანს. კეთილდღეობასა და მშვიდობიან აღმშენებლობას აფხაზეთიცა და ოსეთიც მოჰყვება უკან.



ფრანგი მეცნიერი პასკალი წერდა, გამოაცალეთ სახელმწიფოს სამასი ინტელექტუალი და ღეგენერატების ქვეყანა შეგრჩებათო. ესე იგი სახელმწიფო კი არა, ქვეყანა იქნებაო, ოღონდ ღეგენერატებისაო. დღეს სწორედ ასეთები მართავენ ქვეყანას, სამწუხაროდ.

ერთ კუროსს გავიხსენაბ.

ღეგენდარული ქართველი ფეხბურთელი მიშა მესხი ერთი მატჩის შემდეგ მადლიერმა მაყურებლებმა ხელში აიტაცეს და მოედანი შემოატარეს. – გამორჩეულ ფეხბურთელებს სულ ასე ხელით ატარებთ? – უკითხავს უცხოელს.

– არა. – უპასუხიათ, – ეგ ფეხბურთელი დიდი ფეხბურთიდან მიდისო.

– გაკვირვებია უცხოელს:

– ის მიდის, ესენი კი რჩებიან?!

ძვირფასო მკითხველებო, ამ პატარა საუბარს ჩემი ლექსით დავამთავრებ, რომელიც ამ ორი-ოდე წლის წინ დაიწერა და დაიბეჭდა ქვეყნის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე. მას ჰქვია –

მარსკვლაში სულის

**მამულის გრძნობა უღიადესი
აჭარის მთების სულის წილია,
დიდ წინაპართა ღვთიურ ლანდებით
ცხოვრება ჩემი გამომივლია.**

დიდ წინაპართა ღვთიურ ჰანგებით
მღევდა ამბები ჩურჩულად ქარის...
დედეღურდანთა სულთქმა – ანდერძი
იყო მამულის ხმალიც და ფარიც.

ვარ შენი მიწის გული და თვალი
გენებით, ჯიშით და ნიჭის ქროლვით,
ანდრიას ლოცვით და ნინოს ჯვარით,
დიდქართველობით – პირველად ყოვლის.

ცხოვრების ჩემის გზაბაწარებზე
მხოლოდ მამულზე ფიქრით მივლია,
ერის ტკივილით განაწამები
სულის ვარსკლავი არ ჩამიქრია.

გადაივლიან დარდის წვიმები,
განიხვნებიან სივრცით კარები
თბილისით – ჩემი დედამედით,
ბათუმით – ზღვათა მაგისტრალებით.

მნათობი იგი იბრწყინებს კვლავაც
მარადიული ნათების ნიშნად,
საივერიო – ზეციურ ვალად,
არსობის ჩემის საზრისად მითქვამს.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - პრისკაბი



გარწმუნებთ, როგორც ყველა ჩემი წინასწართქმული, ესეც ახდება სულ მალე...

ვაჟა ფშაველას აქვს ასეთი სტრიქონები: „მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღია ერის წინსვლისა და ცხოვრების გაუკეთესებისა“.

ვისძინოთ გენიოსის შუგონება.

პატივისცემით:

(ეს სიტყვა მან 2010 წელს დაწერა თავის სააღრჩევრო კომპანიის წინ, რომელსაც სათავეში ვედექი)

ბაფრთხილება

რაც რომ ადრე მითქვამს,
კვლავაც იმას ვიცავ,
რაც იყავით, ის ხართ,
არ იცვლებით, მიშა.
მატიანეს ერის
გააკვირვებ განა,
მაგრამ არ გვინახავს
დარდი ამისთანა.
ვისი ხოში გმართავთ –
„ლობია“ თუ „კრიშა“ –
ლაბირინთებს ხლართავს
და ქვეყანას თიშავს?!
ერის წყლული როგორ
არ გაჩნდებათ წყლულად –
ხმა წმინდისა ეშმამ
როგორ შეგაძულათ.
უფლის არ გაქვთ კრძალვა,
აღარაფერს მაღავთ,
ეკლესიებს ანგრევთ,
სიწმინდეებს ბღაღავთ.
უგუნურნო, ხანჯალს
თავისთავზე ღვსავთ –
გულებოროტად ებრძვით
მწერლობას და პრესას.
ვისით ფიქრობთ ტვინით,
ვისით დახვალთ ნებით,



თავისუფალ სიტყვას
 ტყვედ ემუქრებით.
 გვაქვს ისეთი ყოფა,
 არყოფნაა ყოფნა,
 ერთი ჭირი გვფოფრავს
 ქალაქად და სოფლად.
 გვაშთობს ხუნტა შავი,
 უკეთური, ხარბი,
 უბედური ხალხი
 სამშობლოდან გარბის.
 ზეცას სწვდება გმირთა
 საფლავების გმინვა –
 გადამთიელს ვუთმობთ
 აფხაზეთს და ცხინვალს!
 როგორ მოხდა მაინც,
 ვფიქრობ შინ და გარეთ,
 ასე ერთად თავი
 რა გზით მოიყარეთ?
 ქვეყანაში ცოდვის
 დგას ვაი და უში,
 რისხვა გელთ ერის,
 ვერ გიშველით ბუში.
 მოვა დრო და ცოდვილთ
 არ მიგიღებთ, მიშა,
 მშობლიური ზეცა,
 მშობლიური მიწა!



საით მივმჯანვებით?

აღარ ვიცი, ღმერთმანი, სადაური ქარებით,
ასეთი გამწარებით საით მივექანებით?.

ვერ გავიგე, უფალო, ჯინის რომელ ბოთლებით
გამოყარე ოსრებად ჭკუის ეს კოლოფები.

რა ისეთი ცოდვის წილ, ისევ შენ გეკითხები,
აღარ მყოფნის სიტყვები, ვართ საცდელი ვირთხები?

ვაი, ჩვენო მამულო, ნაფერებო გორებო,
უჯიშოთა ხოშებით იყიდებით გროშებად.

დაილეწა, დაიმსხვრა ის მცირედზე მცირედიც –
ერთიანი სამკვიდროს გადარჩენის იმედი...

ცხადია თუ ზღაპარი, იყო და აღარ არის
საქართველო დავითის, რუსთაველის და თამარის.

იყო და აღარ არის, წილი შორით ყრილია,
საქართველო აკაკის, ვაჟასი და ილიას.

იყო და აღარ არის ნიჭი მაღლის ლოცვისა,
საქართველო – ბაღადა ვეფხვისა და მოყმისა,

თავმოჭრა და სირცხვილი წინაპართა ძვლებთანა,
საქართველო – დევნილი, მათხოვარი ქვეყანა.

მარქვი, დიდო უფალო, სადაური ქარებით,
ასეთი გამწარებით საით მივექანებით?!



ვახტანგ ახვლედიანი,

ამონარიდი წიგნიდან
„26 მაისის სისხლიანი კალო“.

„აჭარის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, მიუხედავად არსებული ხელისუფლების ზეწოლისა, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ვაჟკაცობა. ერთ მუშტად შეიკრა და არსებული მდგომარეობის შესახებ საკუთარი პროტესტი დააფიქსირა.

მშვიდობიანი აქცია მიმდინარეობდა აჭარის ტელევიზიასთან, ჩვენ გვსურდა, ეს ყველაფერი ობიექტურად გაშუქებულიყო, თუმცა, პროვოკატორებმა მოახდინეს სიტუაციის არევა, რის შედეგადაც მივიღეთ დარბევა. ეს იყო სისასტიკე და მარაზმი!

ლევან ვარშალომიძე აჭარაში ვერაფერს წყვეტს, ის ბრძანებებს თბილისიდან იღებს. არავითარი კეტები ჩვენ არ გვქონდა. მე პირადად კატეგორიულად განვაცხადე: „თუ ვინმე ტელევიზიაში შეჭრას აპირებთ, ჯერ მე გადამიარეთ!“ ტელევიზიის დაკავებით შედეგს ვერ მივალწევდით, პირიქით, თავიდანვე გონივრულ მოქმედებებზე ვიყავით ორიენტირებულნი.

მოიქცნენ არაადამიანურად. „სახალხო კრების“ ოფისში შეცვივდნენ, ძირს დაყარეს ადამიანები, სცემეს, ერთი-ერთი ფანჯრიდან გადახტა და ფეხი მოიტეხა. დაამსხვრიეს ავეჯი. დამტვრეული სკამებით უსწორდებოდნენ იქ მყოფებს.



წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით აპატიმრებდნენ ადამიანებს. დროა ეს უღირსობა დასრულდეს. ხალხი არ მოითმენს ამდენ სიმწარეს და მაინც თავისას გაიტანს, ვინაიდან ძალა ხალხშია, სიმართლე ერის მხარესაა და ერის ნება აღსრულდება!

უკვე რამდენიმე თვეა, სახალხო კრების აჭარის ორგანიზაციის წევრები: ანზორ სოლომონიძე, გოჩა მუხაშაგია, დიმიტრი ჭეიშვილი, ცოტნე ანანიძე, დავით ფარტენაძე, ხვიჩა გამარჯვებაძე და ვახტანგ სიორიძე (ეს უკანასკნელი გურიის რეგიონიდანაა) დაპატიმრებული არიან და განაჩენს ელოდებიან. მათ წაყენებული აქვთ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის ბრალდება. შესაბამისად, ისინი პოლიტიკური პატიმრები არიან. სახალხო კრება არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია და მას ასეთი ამბიციები არ გააჩნია. თუმცა არც ამის აღიარება სურს ხელისუფლებას.

„ხელისუფლება უნდა მართავდეს ქვეყანას მაღალი ზნეობისა და მორალის პრინციპებით და არა ძალის გამოყენებით“, – ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუციუსის შეგონებაა ეს.

„მე შეიძლება არ ვემხრობოდე შენს აზრებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათი გამოთქმის უფლება არავინ წაგართვას“, – წერდა მეთორამეტე საუკუნის ფრანგი მწერალი და მოაზროვნე შარლ არჟე, იგივე ვოლტერი.



მე შეგნებულად და მიზანმიმართულად მოვიტანე აქ დიდ მოაზროვნეთა გამონათქვამები. გეწიოსები ყველა დროში თანამედროვენი არიან!

მხოლოდ თავისუფალ აზრს შეუძლია ერის, ქვეყნის, სახელმწიფოს განვითარება. სადაც აზრთა ჭიდილია, იქ იბადება ჭეშმარიტებაც.

ხალხი გრძნობს, ხედავს და განიცდის, რომ ქვეყანა ხელიდან ეცლება. საუკუნეობით ჭირსა და ვარაძში გამოტარებული და დღევანდლამდე სიმწრით მოტანილი მამული იყიდება, ჩანაგდება და იძარცვება ენა ქართული, ენა რუსთველის, ილიას, აკაკის, იაკობის, ვაჟას და გალაკტიონის ხელისუფლებაში მოსული საეჭვო წარმომავლობის ჩინოსნებისაგან უღვთოდ იდევნება, ირყვნება, მცირდება, კნინდება... ინერგება ჩასაფრების, დასმენის, დაბეზდების, ჩაშვების, დაშინების და დევნის უსინდისო და უზნეო პოლიტიკა.

სახალხო კრება – ერთადერთი სრულიად ეროვნული გაერთიანება, უშიშრად და ღიად აღუდგა წინ ხელისუფლების აღვირახსნილობას.

„მიეცით ადამიანებს იმდენი, რამდენიც მათ საარსებოდ ეყოფათ და ისინი პირუტყვებად გადაიქცევიან“, – წერდა შექსპირი. დღეს მოსახლეობის 70% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. როგორ არ მინდა, რომ მართალი იყოს გენიალური ინგლისელი დრამატურგი ჩვენთან მიმართებაში...



უკიდურესმა გაჭირვებამ და პროტესტმა გამოიყვანა ხალხი. მაგრამ, როცა ერი და ბერი ერთად უნდა დავმდგარიყავით ქვეყანაში გამეფებული უმსგავსობის წინააღმდეგ, ბათუმშიცა და თბილისშიც ხალხის უმნიშვნელო რაოდენობა გამოვიდა. იქნებ, სახალხო კრებაა ამაში დამნაშავე? იქნებ რაღაც ვერ გავაკეთეთ ისე?

ვიცოდით, რომ 21–22 და 25–26 მაისის აქციებით ხელისუფლებას ვერ გავისტუმრებდით, მაგრამ სახალხო კრება მაინც გამოვიდა. იმედი გექონდა, სხვა პარტიებიც შემოგვიერთდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არც ბათუმში და არც თბილისში არ მოხდა ასე.

ქალაქელთა დიდი ნაწილი სახლებში ჩაიკეტა და ტელევიზორით სურდა სიახლის გაგება... იმ დღეებში ბათუმსა და თბილისში ქვეყნისათვის გულანთებული ვაჟკაცები და ქალბატონები გამოვიდნენ.

„ვაი, იმ ქვეყანას, სადაც თითოში ყველა არ არის და ყველაში – თითო. სადაც „მე“ სჭარბობს „ჩვენს“, – წერდა ილია.

„უმსგავსი საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“, – ისევ რუსთველს ვესესხები.

ხალხში შიშია გამჟღარი, ეშინიათ მომავლის, რწმენა დაკარგული აქვთ. სხვა რომ მოვა, უკეთესი იქნება? – გულის კანკალით კითხულობენ იმედგაცრუებულები. ქართველს ქართველისა აღარ სჯერა. აი, რას მიაღწიეს ამათ. შიში ცუდი მეგზურია. შიშით



ქვეყანას ვერ გადაარჩენ! დროა, ეს უღირსობა დასრულდეს! ხალხი არ მოითმენს ამდენ სიმწარეს და მაინც თავისას გაიტანს, ვინაიდან ძალა ხალხშია, სიმართლე ერის მხარესაა და ერის ნება აღსრულდება! ხმა ღვთისა და ხმა ერისა ერთია!

ვთხოვ, მოეუწოდებ ერსა და ეკლესიას, ჯვარი მაღლა აღვმართოთ და დავდგეთ ერთად სამშობლოს გადასარჩენად. სხვა გზა არ დაგვიტოვეს ამათ, რადგან მხოლოდ სიყვარული და თავდადება გადაარჩენს მამულს, ენას და სარწმუნოებას.

„რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!“ ზეციური გზაა ეს. გზა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვიყვანს“.

ვახტანგ ახვლედიანი,

„აჭარა P.S.“ (2011 წლის 15 ნოემბერი. 27)

წინე უფრო ძნელი სავალი გველის

„სახალხო კრებას“ – სრულიად საქართველოს ეროვნულ გაერთიანებას ერთი წელი შეუსრულდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე, უკიდურესი შეჭირვებების ჟამს, შეიკრიბებოდა ხოლმე ერი და ბერი და ეძიებდა ქვეყნის ხსნის გზებს. ეძიებდა და პოულობდა. მაგრამ ეს ხდებოდა გარეშე მტრებისაგან თავის დასაცავად. დღეს შინაურ მტერთან გვიწევს ბრძოლა, რომელიც გარეშეზე ბევრად ვერაგი, ფლიდი, გაუმაძღარი, უღმობელი და სასტიკია. კიდევ უფრო თანამედროვე და აქტუალურია დიდი ილია – „მამული, ენა, სარწმუნოება“, რომელსაც მე ქვეყნის მცირე კონსტიტუცია ვუწოდებ. სწორედ შინაური მტრების ძალისხმევით აღმოჩნდა საშიშროების წინაშე. „სახალხო კრება“ – ხმა ღვთისა და ხმა ერისაა. გასული წლის 25 ნოემბერს თბილისში დაფუძნდა არასამთავრობო და ზეპარტიული სახალხო გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართული ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი და ჭადრაკის ყველა დროის მსოფლიო დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი. მათ გვერდით



ამოუდგნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი კორიფეები. მალე აჭარაშიც დაფუძნდა „სახალხო კრების“ საოლქო ორგანიზაცია, რომელსაც შემოუერთდა გურიის რეგიონის სამივე რაიონი. ერთი წლის მანძილზე „კრებამ“ ხელისუფლებისაგან იწვინა გაუგონარი მეთოდებით შეიარაღებულ-შემუშავებული წინააღმდეგობები. მიუხედავად ამისა ჩვენი მოძრაობა იზრდებოდა და ძლიერდებოდა. 21-22 მაისს ბათუმში და 25-26 მაისს თბილისში გამართულ საპროტესტო გამოსვლებს არ ჰქონდა გადატრიალების ილუზია. ეს იყო ერის გამოფხიზლებისაკენ მიმართული ძალისხმევა. გვეგონა, ოპოზიციური ძალები დადგებოდნენ ჩვენთან. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. ხელისუფლებამ გაუგონარი და აუწერელი სისასტიკით დაარბია სახალხო კრება. სისხლით მოირწყა რუსთაველის გამზირი. „სახალხო კრების“ აჭარის ორგანიზაციის 7 წევრი დღესაც პოლიტიკური პატიმრები არიან. სახელმწიფო ბრალდების მიერ შეკერილი ბრალეულობები ყოველ პროცესზე იმსხვრევა. შვიდივე გმირულად იცავს თავს. მაქსიმ გორკის თავის ნაწარმოებში – „სიმღერა შევარდენზე“ – აქვს ასეთი ფრაზა: „ბეზუმსტვეუ ხრაბრის პოიომ მი პესნიუ“, რომელიც ასე ითარგმნება: „მამაცთა სიმღეგეს ვუმღერთ ჩვენ სიმღერებს“. ივლისში „საერთო გაზეთის“, ხოლო აგვისტოში „საქართველოს რესპუბლი-

კის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოლიტიკურ
ესეებში ვწერდი: „სიყვარული გადაარჩენს საქა-
რთველს, სიყვარული მამულის, ენის, სარწ-
მუნოების. „სახალხო კრება“ ქვეყნისა და ერის
სიყვარულით გამთბარი ადამიანების ყრილობაა.
ჩვენი ხალხის სულის ამოძახილი – „რაც მტრო-
ბას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“ – ზეციური
გზაა, რომელიც ტაძართან აუცილებლად მიგვი-
ყვანს. ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია.
ეს დიალექტიკაა. სწორედ ჩვენმა თავგანწირვამ,
ქვეყნის გადარჩენისათვის გაღებულმა სისხლმა
საბოლოოდ გადააწვევტინა გამოჩენილ ქართველ
ქველმოქმედს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და მოღ-
ვაწეს ბიძინა ივანიშვილს მთელი თავისი შეგნები-
თა და მრწამსით დამდგარიყო იქ, სადაც ქვეყნისა
და ერის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდება. გახსოვთ
დიდი პროექტის გამონათქვამი: „ამოდ მაინც ხომ
არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“.

ამოდ არ ჩაუვლია. „სახალხო კრებამ“ ამ
ერთი წლის მოღვაწეობით თავისი საქმე გააკე-
თა – ერი გამთლიანდა. წინ კიდევ უფრო ძნელი
სავალი გველის.

ღმერთია ჩვენი მფარველი.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - პრისკატი



ვახტანგ ახვლედიანის სსოვნას

საქართველოს მწერალთა კავშირის

აჭარის ორგანიზაციის

თავმჯდომარეს ღაპით თედორაძეს

ვახტანგ ახვლედიანის ოჯახის წევრებს

მაყვალა გონაშვილი, რევას მიშველაძე, ბალათერ არაბული, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, დავით შემოქმედელი, სოსო სიგუა, გენო კალანდია, თეიმურაზ ლანჩავა, ჯემალ ინჯია, მარინე ცხვედიაშვილი, თამაზ ხმალაძე, ფარნაოზ რაინაული, ზაალ ბოტკოველი.

ბატონებო! მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი დიდებული მწერლისა და ერისკაცის ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების გამო. მისი სახით ქართულმა მწერლობამ, აჭარის საზოგადოებრიობამ, სრულიად საქართველომ დაკარგა გულანთებული მამულიშვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება ქართული იდეალების უებრო სამსახურში გაატარა.

ჩვენ გვახსოვს მისი მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი ნიჭიერება და გული გვწყდება, რომ იგი დღეიდან ვეღარ იღვაწებს მისი სათაყვანებელი სამშობლოს, მშობლიური კუთხის საკეთილდღეოდ.

„სახალხო კრება“

28.05.2012

„სახალხო კრება“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბატონი ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების გამო. ბატონი ვახტანგი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ემსახურებოდა საქართველოს და მის უსაყვარლეს კუთხეს აჭარას, ის გახლდათ თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულისათვის თავგადასდებული პიროვნება. „სახალხო კრების“ დაარსების დღიდან ვახტანგ ახვლედიანი ჩაება კრების მუშაობაში, როგორც დარბაზის წევრი და “სახალხო კრების” აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ბატონი ვახტანგი მონაწილეობას იღებდა 2011 წლის 21-26 მაისის აქციებში. მიუხედავად არსებული რეჟიმის წინებისა ბატონი ვახტანგი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი არასოდეს მორიდებია მართალი სიტყვის თქმას და სიცოცხლის ბოლომდე იბრძოდა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. „სახალხო კრება“ სამძიმარს უცხადებს ბატონი ვახტანგ ახვლედიანის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.



**„სახალხო კრების“
აჭარის რეგიონული ორგანიზაცია**

ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველის, დიდი პატრიოტის, საზოგადო მოღვაწის და მწერლის, სახალხო კრების აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბატონი ვახტანგ ახვლედიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მთელ საქართველოს.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სუელი.

საროპტიმისტთა კლუბი „ბათუმი“

გვიამიძს, როცა უკვე წარსულზე გვინდება საუბარი

მაისის ბოლო დღეები მეტისმეტად დამორგუნველი აღმოჩნდა მისი ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, საზოგადოებისათვის. მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ღირსეული ადამიანი, დიდი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე.

ვახტანგ ახვლედიანის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა – ეს არის ღირსეული ადამიანის, უანგარო პიროვნების, თავის ხალხსა და ქვეყანაზე უზადოდ შეყვარებული, სიკეთისა და სიყვარულის მთესველი, სიმართლის მთქმელი, ქვეყნის ჭირისა და ღხინის გამზიარებელი.

ყველა ეს ადამიანური თვისებები გამოხატულია მის მწერლურ მოღვაწეობაში. დიდი ნოველისტი – ასე მოიხსნიებენ მას. იგი კარგი პოეტი იყო, არა ერთი საუკეთესო პიესის ავტორია, იუმორის დიდოსტატი.

სოროპტიმისტთა კლუბი „ბათუმის“ ყველა წევრი უაღრესად დამწუხრებულია. ბატონი ვახტანგი ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე გახლდათ, ყოველთვის გრძნობდა ხალხის სიმპათიას მის მიმართ და ისიც იხარჯებოდა ბოლომდე.



კარგად გვახსოვს ბატონი ვახტანგის ბოლო
გამოსვლა

დედის დღის აღსანიშნავად გამართულ ქართ-
ველ და აფხაზ

ღვაწლმოსილ დედათა შეხვედრაზე. მან
გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ქალბა-
ტონებს და ბოლო ღამეში სტრიქონები უძღვნა
ცეკვის ჯადოქარს – ფატმან კობალაძეს.

გვიმძიმს, როცა უკვე წარსულზე გვიხდება
საუბარი, მაგრამ გული სიამაყით გვევსება, რომ
ღირსეულ ადამიანთან გვიხდებოდა მეგობრობა
და მისი სახელი უკვდავყოფილია.

თქვენი „აჭარა P.S.“

მთ. რედაქტორი: ჯემალ მეგრელიძე,
სარედაქციო კოლეგია:
ამირან კილურაძე, ნუგზარ
ჟორდანიას, ნანა ახალაძე, ცისანა
ანთაძე, პაატა შავაძე, სულხან
მესხიძე, ნაირა ქობულაძე, ნატო ბერია.

ვასტანგი ახვლედიანი

**სიკვდილო, კარგთა მოკვლისთვის,
ნეტა ვინ გეტყვის ქებასა...**

ვაჟა

დიდი ზურაბის თქმისა არ იყოს, ღვთის
სტუმარივით კარს მოგდგომიათ მარადიული სინ-
აზე – სიკვდილი...

ბატონო ვასტანგ, არც კი ვიცით, რითი დავიწყ-
ოთ, ალბათ უპირველესად თქვენი დაუცხრომელი
ხასიათით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულითა
და მისი უკეთესი მერმისისათვის გაღებული დიდი
ძალისხმევით, რამაც „სახალხო კრების“ კარამდე
მიგიყვანათ და ყველაზე დიდი ტვირთი – აჭარის
წარმომადგენლობის თავკაცობა საკუთარი მხრე-
ბით გაზიდინათ... გულმა აღარ გაგიძლოთ ამდენი
უსამართლობის შემყურეს და თბილისში, თქვენი
საძმო-სამეგობროსთვის მოწყობილი სასაკლავოს



წლისთავზე სამუდამოდ გაგარიდათ ამქვეყნიურ
 ამოებას... ვერ აიხდინეთ თქვენი დიდი ოცნება,
 მოსწრობდით გაბრწყინებულ იბერიას, მაგრამ
 თანამებრძოლებს დიდი სტიმული დაუტოვეთ
 თქვენს მიერ გაკვალულ გზის ბოლომდე ღირსეუ-
 ლად გასასვლელად...

სიკვდილის გზა არ რა არის, ვარდისფერ გზის
 გარდა – ბრძანდება თქვენი დიდი თანამოკალმე
 და ამ სიტყვებში მგოსნის ბედს გულისხმობდა
 უდავოდ, თქვენ კი მრავალმხრივ შემოქმედს, პო-
 ეტს, მწერალს, მხატვარსა და მომღერალს ამ
 ვარდისფერ გზაზე მარადიული სასუფეველი
 გელით...

ძალიან დაგვაკლდება თქვენი ქომაგობა, თქვე-
 ნი შემართება და ხატოვანი სიტყვა, რომელიც
 თქვენსავე წერილებს მიჰყვებოდა საგზლად ჩვენს
 მკითველთან...

გაზეთ „აჭარა“ და „აღუარის“

თანამშრომლები, მეგობრები

ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ცნობილი მწერალი, აჭარის დამსახურებული მუშაკი, ჩვენი კოლეგა ვახტანგ ახვლედიანი.

მრავალმხრივია მისი შემოქმედება – საზოგადოება ყოველთვის გულისყურით და ინტერესით კითხულობდა მის ნაწარმოებებს – იყო ეს პროზა თუ პოეზია. ყველაზე მეტად კი მისი ნოველები იზიდავდა მკითხველს.

ის იყო ხელოვანი ადამიანი, რომელიც ყველგან ცდიდა თავის შესაძლებლობებს – როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ჰქმნიდა პორტრეტებს, ნატურმორტებს, რომლებიც არაერთხელ გამოიფინა მის პერსონალურ გამოფენებზე; როგორც რომანსების მოყვარული მომღერალი, არაერთხელ გამოსულა სხვადასხვა საიუბილეო სადამოხე საზოგადოების წინაშე, სადაც ასრულებდა როგორც საკუთარ ლექსებზე დაწერილ სიმღერებს, ისე ოპერებიდან არიებს.

ვახტანგ ახვლედიანს თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით ჩვენს გაზეთში მოსვლამდე უკვე ჰქონდა მოპოვებული პოპულარობა. ის გაზეთ „აღუარის“ მთავარი რედაქტორი გახლდათ და



მოსვლისთანავე აირჩია თავისი მიმართულება – გაზეთში გამოჩნდა „ლიტერატურული გვერდი“, სადაც იბეჭდებოდა არა მხოლოდ ჩვენი ადგილობრივი მწერლების ნაწარმოებები, არამედ დამწელები პოეტების ლექსებიც.

დღეს არაერთი ცნობილი სახელისთვის გაზეთის ეს გვერდი პირველი „კალმის მოსინჯვა“ იყო, შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი, რაც უთუოდ ვახტანგ ახვლედიანის დამსახურება გახლდათ.

ის იყო მეგობრული, გულთბილი ადამიანი, ყველასათვის გვერდში მდგომი.

შემოქმედებითი საზოგადოება, კოლეგები და მეგობრები გულით განიცდიან მისი ამ ქვეყნიდან წასვლას. მისი სახელი დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც მოუწია მასთან ურთიერთობა.

-

ცისანა ანთაძე,

პოეტი

შენც მიმართავ, კვარა?!

...რატომღაც ახლა თხემლის სალამურზე ნამ-
ღერი შენი ბავშვობის შორეული სიმღერა მესმის...
ფიქრებს იმ გადაჭედილ დარბაზებთანაც მივყა-
ვარ, შენი საიუბილეო ლიტერატურული შეხვე-
დრები რომ შედგა. ერთი ასეთი შეხვედრის დროს
ლექსით მოგეფერე. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ
იმ სტრიქონების გახსენება ისევ დამჭირდებოდა,
თანაც ასე სევდიან წუთებში.

**გახსოვს, მზე იდგა ცერზე
ატმის ყვავილი თოვდა,
მაგრამ გულხარბი ზეცა,
წლებს ბალახივით ძოვდა.**

**გეწამდა და—ძმობის მადლი,
მართლები ვიყავით ცამდი,
ერთი ჭიქიდან ვსვამდით,
ერთი ჯამიდან ვჭამდით,**

**აღმართიც გექონდა ძნელი,
გადასაფონი ღელეც,**



ფიცვერცლნაჭამო ძმაო,
ერთუროს ვუთბობდით ხელებს.

ახლა გაგხედოთ შარას,
გზა ცარიელი დარჩა...
ფრიდონი არ ჩანს ვახტანგ,
ბიჭო, ზურაბიცი არ ჩანს.

მამია, გოგი, ჯემალ, ლადო, ალი და ჯაფარ...
ხმა გამაგონეთ ძმებო!
ვაიმე, რად არ ჩანხართ!..
ჩამოიმარცვლა წლები,

კრიალოსანის მარცვლით,
რა ცოტანი ვართ, ვახტანგ,
მართლა გაეთითოკაცდით.
მოდო, ვეფეროთ ერთად
მათ ხსოვნასა და აჩრდილს,
მადლობა უფალს, ვახტანგ,
ძმაო, საფიცრად დამრჩი!

....

P.S. ნუ მიმუხარავთ კარებს,
მიჯობს დატოვოთ ღრიჭოდ...
შენც მიმატოვე, ძმაო,
არა გრცხვენია, ბიჭო!

გიორგი (იური) ბიბილეიშვილი,

მწერალი

მრავალმხრივი შემოქმედელი

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული თანამედროვე – ვახტანგ ახვლედიანი. პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი. ლიტერატურულ პრესაში სათანადოდაა შეფასებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი მოტივები. ვახტანგ ახვლედიანზე მომავალშიც არაერთხელ დაიწერება...

ვახტანგ ახვლედიანმა, როგორც მთარგმნელმა, მტკიცე სულიერი კავშირები დაამყარა ქართველ და ბულგარელ მწერლებს შორის. მან პირველმა გააცნო ქართველ მკითხველს ნიკოლაი ვაპცაროვის, ბორის კალაიჯიევისა და სხვათა ნაწარმოებები. მისი შემოქმედებითი ცხოვრების შესაჯამებლად მისსავე სტრიქონებს მივმართავ: „მამულის გრძნობა უდიადესი აჭარის მთების სულის წილია, დიდ წინაპართა ღვთიურ ღანდებით ცხოვრება ჩემი გამოძივლია“.

ჭეშმარიტად! ვახტანგ ახვლედიანი პირნათელი და ვალდობილი წარუდგება თავის წინაპრებს.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი – მრისკპნო



ნიაზ ბოლქვაძე,

ფილოსოფოსი, მწერალი,
აჭარის მამულიშვილთა
საგვარეულო კავშირის
თავმჯდომარე

ჩვენი სპიხისპირი

როდესაც უსამართლობასთან, უზნეობასთან, უკომპრომისო ბრძოლაზე ჩავფიქრებულვარ, თვალწინ ყოველთვის ხევისბერი გოჩა წარმომიდგება. ასეთი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ბავშვობიდან ჩამრჩა მეხსიერებაში, რამაც ჩემზე, შემდგომ უღუდესი გავლენა მოახდინა.

სწორედ ასეთ ხევისბერად მომეგვლინა ბატონი ვახტანგ ახვლედიანი.

პირადად მე, ის გავიცანი 2007 წელს და უმოკლეს დროში, როგორც თანამოაზრეებს მეგობრული და მამაშვილური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. მას შემდეგ, მისი სიცოცხლის ბოლომდე, არაერთ მძიმე დღეები გადავიტანეთ ერთად.

ვახტანგ ახვლედიანზე საუბრისას, არ შეიძლება მთელი ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ როგორც დიდ შემოქმედზე, მწერალზე, პოეტზე და მხატვარზე. ეს მისი შესაძლებლობის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხრივ კი, რომელიც სრულყოფს მის პორტრეტს, ეს არის როგორც დიდი



საზოგადო მოღვაწე, უშიშარი, მტკიცე, რომელიც საზოგადოებრივ მოძრაობას პრინციპულად ედგა სათავეში, ქართული ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ყოველთვის გულკეთილი, ხშირად გულუპრყვილოდ მიმნდობი, საჭირო დროს ყოველთვის ნათელს მოჰფენდა და თავის სახელს არქმევდა: კარგს-კარგს, ცუდს-ცუდს, მამულიშვილს-თავისას, უპრინციპობასა და მერყევს-თავისას.

დღეს როდესაც ერის ბედი წყდება, ბატონი ვახტანგის სახით, საზოგადოება უდიდეს დანაკლისს განიცდის... მისი ღვაწლი ღირსეულად უნდა იყოს დაფასებული და სახელი უკვდავყოფილი ქრთველი ერის ცხოვრებაში. ვახტანგ ახვლედიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საფუძვლიანი გამოვლენა და მისი ნაშრომად გამოცემა, დიდად სასარგებლოდ მიმაჩნია ჩვენი მომავალი თაობების სწორად, მამულიშვილური სულით აღსაზრდელად.



გულით გაბაძე,

პოეტი

ბატონო ვახტანგ!

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენგან წახვედით, ან თუნდაც თვალს მიეფარეთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენს გულში დარჩით და ყოველთვის გვექნება თქვენდამი სიყვარულიც, კრძალვაც და უდიდესი პატივისცემაც. თქვენ ხომ ყველასაგან გამოირჩეოდით უანგარო, განუმეორებელი უშუალობითა და საურთიერთობო სტილით... და რაც შემოქმედისათვის აუცილებელია, ხალასი ნიჭით. თქვენ ყველაფერს საღი და კეთილი თვალთ და გულით ხედავდით. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობა ის დიდი გულიანი და ღამაზი ურთიერთობა, რამაც შენს საყვარელ ოჯახთან დამაახლოვა და დამამეგობრა. ხანდახან მეჩვენება, რომ თქვენი გულმადლიანი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვარ. მაპატიეთ ეს სითამაშე. მას დღემდე ვერც გავბედავდი მეთქვა.

მინდოდა მომელოცა თქვენთვის 27 მაისი - ერის გაერთიანებისკენ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ...

თქვენ კარგად იცით, როგორ მტკივა ეს სინამდვილე. იმან, რაც დღეს ხდება, პირადი პრობლემებიც უკან გადაწია. ჩვენი საერთო საუბრის თემაც ხომ ყოველთვის სამშობლოს ტკივილები-



დან იწყებოდა და დღევანდელი სიტუაციაზე გადიოდა.

გპირდებით, რომ ჩვენი დაწყებული საქმე და საუბრები გრძელდება!..

ბატონო ვახტანგ, გულის მიკლავს თქვენი ბოლო დღეების ჩანაწერიდან ფრაზა - „დრო ჩემთვის აღარ მუშაობს“. მაგრამ გულის მიმაგრებს ჭეშმარიტებაც, რომ დრო შემოქმედისათვის არასდროს ჩერდება. ხელოვანი ყოველთვის იმარჯვებს სიკვდილზე. ახლა კი ნება მიბოძეთ ბატონო ვახტანგ, რომ თქვენთან საუბარი დროებით ჩემი უბრალო სტრიქონებით დავასრულო:

**დარდი ბინდია სულის,
უელფერო და ბაცი,
ო, რა იოლად ცხოვრობს,
მეტაშფანდურე კაცი.**

**სიტყვაუთქმელი ბაგე
შერჩა დაწყველილ დრო-ჟამს,
ღმუის ამტყდარი ქარი,
ცრემლი შეაშრა მგოსანს.**



ცისკარ გოგიტიძე,

„სახალხო კრების“

აჭარის რეგიონული ორგანიზაციის
თავმჯდომრის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ახვლედიანის ბახსენება

ვახტანგ ახვლედიანის, როგორც ცნობილი მწერლის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის სახელი კარგადაა ცნობილი საქართველოს საზოგადოებისთვის. ჩემში ის იყო ერისკაცი, რაინდი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი.

აჭარის „სახალხო კრების“ თავმჯდომარე – ვახტანგ ახვლედიანი თავადის შთამომავალი გახლდათ და ცხოვრებაშიც თან დასდევდა თავადური შემართება და დარბაისლობა, იგი იყო ჭეშმარიტი ინტელექტენტი. ორი თვის წინათ, გარდაცვალებამდე „სახალხო კრების“ სხდომა ჩაატარა და იქ ასეთი ფრაზა წარმოთქვა: ერთი საათი ცხოვრებაც რომ დამრჩეს თქვენთან ერთად მინდა ვიყო, რათა გადავარჩინოთ სამშობლო ამ ტირანიისგან.

არასოდეს დამავიწყდება მისი სიტყვები და რჩევები. თავს არ დაფხოგავ, მისი ნატვრის ასრულებისათვის ვიბრძოლებ საბოლოო გამარჯვებისათვის საქართველოს გასანთავისუფლებლად.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული – ამინ!

ანა ღუნდუა,

მწერალი

ვახტანგ ასვლედინი

მისი უკვდავი სული ზეცას შეუერთდა იმ აგბედით სადამოს ქარი ჰქროდა ზღვის ნაპირებთან და ცაზე მთვარე ზეზეულად დნებოდა. უადრესად ნიჭიერი მწერალი ვახტანგ ასვლედინი, სამშობლოზე ფიქრით დაღლილი, დარღუბაშლილი, სიცოცხლის წამებს ითვლიდა.

სოფლის გზაწვრილები, ოლიმპოზე ასვლამდე, სულ ზემავალ ქარის ნაფეხურებზე იარა, მერე მზერა ჟამთა წიადიდან იმ პრიზმაში გარდატეხა, რასაც მწერლობა ჰქვია,

მხატვრობა ჰქვია, მუსიკა ჰქვია.

მარად ჩაუქრობი ცეცხლი დვიოდა მის გულში. ჩაუქრობი ცეცხლი – შორეულ ოცნების მიღმა დანახული. ჩაუქრობი ცეცხლი – სანთელივით წმინდა ოცნება მზით გამთბარ სამყაროში პოეზიის პარნასისაკენ ზარ-ზეიმით მიმავალი.

მერე უსწრაფესი აჩქარებით მქროლავი დღეები და ღელთ-ღუნისავეით უღვევი ფიქრი ფრთამოტეხილ საქართველოზე. ყველაფერი ეს ვარსკვლავებმა ზეცაში აიტაცეს და დღეს მისთვის ზამთარი დამდგარა, ძალიან ცივი ზამთარი. იმ სახელს კი უკვდავება ჰქვია და შემდგომში არდავიწყება დაერქმევა.

განგება მუდამ ნათელში ამყოფებს ვახტანგ ასვლედინის ღამაზ სულს.



ნოდარ (სპარტაკ) ვანაძე,

პოეტი

წავიდა დიდი კაცი...

ღეჟსი, რომელსაც თავმდაბლად ვთავაზობ ჩემს მკითხველს, ექსპრომტად დავწერე ბატონი ვახტანგის წიგნის („ძახილი“) განხილვისას. იგი იქვე წავიკითხე საზეიმო ვითარებაში.

ღღეს სულ სხვა გარემოებაში მინდა გამოვიტანო სააშკარაოდ. ამას დიდი გულისტკივილი მკარნახობს.

წავიდა ჩვენგან კაცური კაცი, რომელსაც ნამუსის ქუდი წუთითაც არ მოუხდია თავიდან. კაცი, რომელიც იმდენად ბუნებრივი იყო, რომ არც საყვლო უჭერდა და არც ჰალსტუხი.

ქედს ვიხრი და ქედსაც ვიხდი ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი სულის წინაშე და იმ საყოველთაო ტკივილს ვუერთდები, რომელიც მისმა ნაადრევმა წასვლამ მოუტანა ქალაქს, აჭარას, სრულიად საქართველოს.

ექსპრომტი ვახტანგ ახვლედიანს

**იშვიათი ხილია
იყო კაცი ამგვარი,
კაი ყმა და პოეტი,
ღრამატურგი, მხატვარი.**

ინტელექტით ცნობილი,
სავსე, სანდომიანი,
გულღიაც და ამაყიც,
თანაც თავაზიანი.

სიტყვა წონიანია,
საზრიანი, ფრთიანი,
კილო აჭარული აქვს
მოკაზმული, მზიანი.
იშვიათი კაცია
ვახტანგ ახვლედიანი!



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - მრისკატი



შოთა ზოიძე,

მწერალი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო,
დავით აღმაშენებლის, ნიკო ნიკოლაძის
და გიორგი ლეონიძის პრემიების
ლაურიატი

ოთხი ათეული წელიწადი ერთად ვიარეთ. სამო-
ციანი წლების ბოლოს ერთად შევდგიტ ფეხი მწ-
ერლობაში ჩემო ვახტანგ. ნამუსიანად ვიცხოვრეთ.
სირცხვილი არსად გვიჭამია. თეთრზე შავი და
შავზე თეთრი არასოდეს გვიწოდებია. მთელი არ-
სებით სიცოცხლის შვილი იყავი. შენი მშვენიერი
ნოველებით ავსებდი და აღამაზებდი ბათუმის
ლიტერატურულ ბოჰემას.

გულანთებული ოპონენტი იყავი ყოველგვარი
უკეთურების. ნოველებშიც და საზოგადოებრივი
მოდვაწეობითაც ეროვნული ცნობიერების სამსახ-
ურში იდექი. მამაცურად უძღვებოდი „სახალხო
კრების“ აჭარის ორგანიზაციას. ხმალშემართული
იბრძოდი ილია მართლის ძეგლის დემონტაჟის წი-
ნააღმდეგ, ბევრი ჩვენი კოლეგისაგან განსხვავე-
ბით პირდაპირი და სწორხაზოვანი იყავი. შენგან
შორს იყო გაორება. ქარის ქროლაზე ლერწამი-
ვით არ იხრებოდი.

ეს ყველაფერი მომავალში კიდევ უფრო და-



ფასდება, შენს ნოველებს, შენს სიტყვას, შენს
ნააზრევს ხავსი არასოდეს მოედება.

გულმხურვალედ შეეგებე „ქართულ ოცნებას“.
გწამდა და გჯეროდა. დასანანია, რომ ვეღარ
დაესწრები კარსმომდგარ გამარჯვებას. მანამდე
თუ დამაცალეს სოცოცხლე, მე გიმახარობლებ –
შენს საფლავთან მოვალ და ჩამოგძახებ – ძმად
ვახტანგ, ჩვენ გავიმარჯვეთ!



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - შრისკატი



დავით თელორაძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

მშვიდობით, ძვირფასო ვახტანგ!

ორი თვის წინ პარკში შევხვდით ერთმანეთს. მომიწონა, - კარგია ფეხით რომ დადიხარო. ჯანმრთელობის ფასი იცოდა. იშვიათად თუ ჩააგდებდა დილას ვარჯიშის გარეშე. კოლეგებს შორის ჯანსაღი წესით ცხოვრებაში ვერავინ შეედრებოდა. ერთგულებაში და პატიოსნებაში ბადალი არ ჰყავდა. პასუხისმგებლობის გრძნობა მოვალეობის წინაშე მეტისმეტად განვითარებული ჰქონდა. მარტის კოკისპირულ წვიმაში, როცა ჯანმაგარი ბათუმელები სახლებში იყვნენ შეყუჟულნი, მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად. მართალი კაცი იყო და ხალხს მისი სჯეროდა. პირადად იყო მაგალითი თუ როგორ უნდა ეცხოვრა მწერალს სამშობლოსთვის.

მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ. წერდა მოთხრობებს, რომანებს, ლექსებს, პოემებს, პიესებს, ხატავდა, მღეროდა. ყველაფერი უხდებოდა.

ბრწყინვალე ტრიბუნი და მოსაუბრე იყო. მე მისი პატარა ნოველები და მოთხრობები მომწონ-

და განსაკუთრებით. სამ თუ ოთხ გვერდში სასწაულებს დაატრიალებდა ხოლმე.

სად არ იმუშავა. ხელმძღვანელად იყო დაბადებული. ყველგან სითბო და სიყვარული დატოვა. კაცს ჭირშიც და ლხინშიც გამოაჩენდა. ითამაშებდა, მოიღხენდა და მოგალხენდა.

ძნელია, შეეგუო აზრს, რომ სიცოცხლით სავსე ვახტანგ ახვლედიანი აღარ შემოადებს მწერალთა კავშირის კარებს, არ იტყვის მგზნებარე სიტყვას, არ შეგხვდება ქუჩაში, არ გეტყვის კომპლიმენტს...

დააკლდა, უპირველესად სამშობლოს დააკლდა ვახტანგი. მის საყვარელ მკითხველებს დააკლდა იგი, ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს დააკლდა იგი.

მშვიდობით, ძვირფასო ვახტანგ!

გპირდებით, შენს ხსოვნას სათუთად შევინახავთ.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - მრისკაზნი



სსიპ

ასლან კაკაბაძე,

მეგობარი

ძმას ღა მებობარს

ეს იყო 1982 წელი, როცა ვახტანგ ახვლედიანი გავიცანი. იმ პერიოდისთვის მან დაასრულა მისი პუბლიცისტური პოემა „ძახილი“, რომელმაც იმჟამად საბჭოთა ეპოქაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, მაგრამ სიხარულს მოჰყვა ძალიან დიდი განცდა და ნერვიულობა, არაკეთილმოსურნე პირებმა იგი დაასმინეს და დასძინეს, რომ პოემა „ძახილი“ ილაშქრებდა საბჭოთა იმჟამინდელი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ სიბრძნემ გაიმარჯვა, გამოჩნდა ბრძენი და იმდროისათვის ნამდვილად დემოკრატი პიროვნება აჭარის პარტიული ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბატონი ვახტანგ პაპუნძიძე, რომელმაც მოუსმინა ახალგაზრდა მწერალს, წაიკითხა პოემა და გამოიტანა სათანადო დასკვნები, რომ ამ პოემას არავითარი საწინააღმდეგო მიმართულება მთავრობის მიმართ არ ჰქონდა წაყენებული, ამას მოყვა დიდი ნერვიულობა და მაშინ სრულიად ჯამრთელ ვახტანგ ახვლედიანს ჯამრთელობა შეეღალა, გულთ დაავადდა და მიიღო გულის ინფარქტი, მართალია შემდგომ იგი გამოჯამრთელდა, მაგრამ იმ დღემა განცდამ და ნერვიულობამ მის ჯამრ-

თელობას დიდი კვალი დააჩნია. ვახტანგიმ კვლავ გააგრძელა მისი მრავალმხრივ შემოქმედება, ის გახლდათ მრავალმხრივ შემოქმედელი ადამიანი, მწერალი, პოეტი და მხატვარი, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებდა კლასიკურ რომანებსა და არიებს ოპერებიდან. მის კალამს ეკუთვნის 30-ზე მეტი ნაწარმოები, რომლებიც მსოფლიოს 7 ენაზეა ნათარგმნი.

გარდა ამისა, რომ ის იყო მრავალმხრივი შემოქმედელი, პირველ რიგში იგი იყო დიდი ადამიანი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, აღზრდით, კეთილი თვისებებით და ამავე დროს დიდი უბრალოებით რომელიც აკეთილშობილებდა და ალამაზებდა მის პიროვნებას. ვახტანგი ყველას მიმართ გამოირჩეოდა ყურადღებით – განსაკუთრებით კი დიდი ყურადღებას იჩენდა თავის მეგობრების მიმართ. და ეს კი აღნიშნული აქვს მის ბევრ ნოველებსა და მოთხრობებში. მე მემამაყებოდა, რომ ის ჩემი მეგობარი იყო.

ჩვენ 30 წელი ვმეგობრობდით. იგი ჩემი უდიდესი და უახლესი მეგობარი გახლდათ. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით – განსაკუთრებით ბოლო 10 წელი თითქმის ყოველდღე თუ არა დღეგამოშვებით ვხდებოდით ერთმანეთს. ბოლო პერიოდში ძლიერ შეუტია გულმა და თითქმის ყოველი შეხვედრა ექიმებთან ხდებოდა. ის ხშირად მიმეორებდა – შენ რომ გვერდით მყევხარ ნერვიულობა



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - შრისპატი



მეხსნება და კარგად ვგრძნობ თავსო. ვახტანგ-
თან ჩემი დიდი სიყვარული აისახა ნოველებში,
ნოველა „ჩაძირული კაცი“ და ნიმფა (რომელიც
მიუძღვნა ასლან კაკაბაძეს მეგობრობას) „ზღ-
ვისპირა კაფე“, „მუსიკა და ნაყინი“. ბოლო წიგნი
„ძახილი“ პრეზენდაცია 2011 წლის სექტემბერში
შედგა. ბატონმა ვახტანგმა ეს წიგნი მისახსოვრა,
რომელსაც ამშვენებს ასეთი წარწერა:

ჩემო ასლან!

შენ ჩემი ყველაზე ნაღდი მეგობარი ხარ. ამ
წიგნშიც საკმაოდ მაქვს გაცხადებული ჩვენი ძმო-
ბის შესახებ.

ვისურვებდი, ბათუმელებს ჩვენთვის მოეხადათ.
ძმურად.

ვახტანგ ახვლედიანი

20/09/2011წელი.

ვახტანგი, მართალია წავიდა, მაგრამ ის წავი-
და ვაჟკაცურად.

სანამ ცოცხალი ვიქნები ყოველთვის დაუვიწყ-
არი იქნება მისი სახელი და მის ხსოვნას ყოველთ-
ვის კეთილ მოგონებად ვატარებ ჩემს გულში.

ანზორ კუდბა,

მწერალი

გული – მზე

შენც თითქოს მოხვედი ისე, როგორც ყველა, უბრალო მოკვდავი, მაგრამ სხვა ნიშნით მომადლებული.

კეთილის მდომს, შუბლგახსნილს და ასე მოდიმარს, სულ მეგონა გულის სანაცვლოდ მზე გედო მკერდში და სითბოს ულევს ის იყო, რომ გამოსცემდა.

გიხაროდა, რომ გიყვარდა და შენც რომ უყვარდით, ეს გახარებდა...

სიცოცხლე ამადაც უნდა გიღირდეს, რამდენჯერ გითქვამს?! და ერთიც კიდევ: იქ იდექი, სადაც გელოდნენ, საჭიროდ თვლიდი... შენ მგალობელიც უგალობდი ყველას, ყველაფერს.

მაგრამ ჟამმაც ჩამოჰკრა შენეულმა, თქვი სიტყვაც შენი და წუთისოფლიდან მარადსოფელში გადაივანე. და ნათელიც წინ რომ მიგიძღვის, მე ამას ვხედა და ფერიაც შენი ფრთებს დამიქნევს, დამემოწმება.



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - მრისკპცხი



საქ

ზაურ სოლომონიძე,

მეგობარი

ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივი ნიჭით მადლმოსილი შემოქმედი იყო. უფალს უხვად უბოძებია მისთვის სიტყვის, ფერის და ბგერის განცდა. ცნობილი მწერალი და მხატვარი, თავდავიწყებით და პროფესიულ დონეზე ასრულებდა კლასიკურ რომანებს. ლიტერატურის ერთ ცალკეულ ჟანრში ვერ ეტეოდა იგი..

პროზა, პოეზია, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ავტობიოგრაფიული ჩანახატები მისი დაუდგარი ბუნებიდან მოდიოდა.

მისი შთაგონების წყარო ყოველთვის იყო სამშობლოს სიყვარული.

ცნობილი მეცნიერი დიალექტოლოგი, პროფესორი შოთა ნიჟარაძე წერდა, ვახტანგ ახვლედიანი პირველია ქართველ მწერალთა შორის, ვინც აჭარულ დიალექტზე დაყრდნობით, შეძლო ნოველის როგორც ჟანრის განვითარებაო.

მიჭირს ბატონ ვახტანგზე წარსულში საუბარი, ის ყოველთვის ჩემს მოგონებებში იცოცხლებს.

ღმერთმა აცხონოს მისი სული. ამინ!

-

გენრიეტა ქუთათელაძე,

მწერალი

„შენაშრის დაჰვალ სხივითი“

უზადო ინტელიგენტი, ნიჭიერი, მრავალმხრივი ხელოვანი, ღირსეული მამულიშვილი – ასე აღვიქვამდით თანამოკალმენი და მკითხველები ვახტანგ ახვლედიანს. ძნელია მასზე წარსულ დროში საუბარი. სიცოცხლისა და ადამიანის მოყვარული, გულითადი, გულისხმიერი კაცი, სილამაზისა და სიკეთის ტრფიალი, ასეთი იყო იგი სიცოცხლეში და ასეთივე დარჩება მრავალთა მეხსიერებაში. „ყველგან, ყოველში მარხია ჩემი სულის ნაწილი შეუმჩნეველი“ – გალაკტიონის ეს სიტყვები ვახტანგ ახვლედიანსაც შეეფერება, მასაც შეეძლო ეს ეთქვა. მისი შემოქმედება სწორედ ამის დასტურია.

მახსოვს, როცა მისი პირველი მოთხრობა „მანანა“, 1968 წელს გამოცემულ ახალგაზრდულ კრებულში („სათავეებთან“) დაიბეჭდა, მაშინ სწორედ გულწრფელობამ და უშუალობამ გამოარჩია ახალბედა მწერალი და ასე დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. მისი ნოველები, მემუარები, ლექსები გულანთებული, ფაქიზი, ნათელი სულის ადამიანის შექმნილი რომაა, სწორედ ამიტომაა შტამბეჭდავი და საინტერესო საკითხავი. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, ჭეშმარიტი მწერლის შემო-



ქმედება უპირველესად სიტყვაში განსხვავებულ საზღვარს, თვალის პირველი ახელის ჟამიდან რომ შევიგრძნობთ. მკითხველი მუდამ ინტერესით ელოდა ვახტანგ ახვლედიანთან შეხვედრას. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ მწერლის შემოქმედებით საღამოებზე, მეც სხვებივით სიხარულით მომისმენია მის ლექსებზე აუღერებელი სიმღერები; საოცრად მუსიკალური და ესთეტიკური თვითონაც ამღერდებოდა და სიცოცხლის სიყვარულსა და ხალისს, სიღამაზეს ირგვლივ მყოფთ უშურველად უზიარებდა.

„ტყის მღუმარების საგალობელი“ – ვახტანგ ახვლედიანის ეს საინტერესო და დამაფიქრებელი პოემა მრავალ კითხვას აღძრავს. „მოგისმენია ოდესმე მღუმარე ტყის სიმღერა?“ – სვამს თვითონ ამ კითხვას და ასე უპასუხებს: – „გარწმუნებ, ვერაფერს გაიგონებთ უფრო დიდებულს, მრავალხმიანს, ძალოვანს, ერთიანს, საოცრად მელოდიურსა და წარმტაცს“. ეს სიტყვები მთელ მის შემოქმედებას გვირგვინად ადგას, როგორც არდავიწყების სიმბოლო და მარადიული საგალობელი.

„უცნაურის დავაღს სხივით“ – ასე თქვა „აღმართდაღმართებში“, ასე შეაფასა თავისი შემოქმედება. სწორედ ეს საკრალური, დიდი შუქი ანათებდა მის პიროვნებასაც და შემოქმედებასაც; ამიტომაც დარწმუნებული ვარ, მარადიულ სამყაროში მისი გაბრწყინებული მოგზაურობა ახლა იწყება.

ვახტანგ ღლონტი,

პოეტი

მჯერა, ნამდვილად აცხოვნებს ღმერთი!

რამდენჯერ ვთქვი, ნეკროლოგებს აღარ დავწერ—მეთქი. რამდენი თბილი, გამორჩეული ადამიანი დაგვმორდა უკვე. ახლა ვახტანგ ახვლედიანი – ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილი, ნიჭიერი, მრავალმხრივი, უეშმაკო, როგორც უნდა იყოს ზოგადად მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ადამიანისა და მამულის მოყვარული. მის ნოველებზე არაფერს ვიტყვი. მშვენივრად იცის მკითხველმა საზოგადოებამ, აღფრთოვანებით ვუსმენდი მის ხმას, მის რომანსებს. არა მგონია, მოიძებნოს ვინმე ისეთი, გულნატკენი იყოს მასზე. სწორედ ახლა გვატკინა გული პირველად და უკანასკნელად.

არასოდეს დამავიწყდება.

მჯერა, ნამდვილად აცხოვნებს ღმერთი!



ეროვნული

ვახტანგ ახვლედიანი - მრისკატი



თამაზ ცინცაძე,

ექსპარლამენტარი

გამორჩეული ინტელექტუალი

მოულოდნელი იყო გამორჩეული ბათუმელისა და სამაგალითო ინტელექტუალის ბატონი ვახტანგ ახვლედიანის მოულოდნელი გარდაცვალება. იგი უდროოდ გამოაკლდა შემოქმედებით ინტელექტუალს. მის შემოქმედებით ცხოვრებაზე როგორც პროზაიკოსზე და საერთოდ მწერალზე მოგონებები მისი კოლეგებისათვის მიმინდვია. მე კი შევეცდები მკითხველს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მის მაღალ ადამიანურ ღირსებებზე ვისაუბრო.

ბატონ ვახტანგთან 50 წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. ჩვენ არა მარტო თანამოქალაქეობა, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობაც გვაკავშირებდა ერთმანეთთან. მე პირადად ხშირად ვიზიარებდი მის, როგორც განათლებული ადამიანის მოსაზრებებს, რომელიც ჩემს საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ სატელევიზიო გამოსვლებში აშკარად იგრძნობოდა შეეხებოდა. ბატონი ვახტანგი ყოველთვის პირდაპირი და პირუთენელი ადამიანი იყო, მაგრამ შენიშვნებს ყოველთვის მოკრძალებულ ფორმებში გამოხატავდა.

ის კომუნიკაბელობით გამოირჩეოდა და ადამიანურ თუ სამსახურებრივ ურთიერთობებში არაფერი ეშლებოდა. მას ხშირად უკითხავს ჩემთვის როგორც საკმაოდ ცნობილ მოცეკვავეს, ამ სფეროს რატომ ჩამოვცილდი. მე მასთან როგორც ხელოვანთან, ყოველთვის გულწრფელი ვიყავი და მასთან ამ მიზეზის ახსნის დროს ვფრთხილობდი, ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ შეეცანა. მას ავუხსენი, რომ უკვე კომკავშირულ მუშაობაში ჩამბული ადამიანის არჩევანი უნდა გამეკეთებინა, კომკავშირული და შემდგომ პარტიულ სამუშაოს უნდა გავეყოლოდი, ან ხალხურ შემოქმედებაში უნდა გამეგრძელებინა მუშაობა. რადგან მაშინ ამ ორი საქმის შეთავსებას სხვაგვარად უყურებდნენ. მან კი მიპასუხა: „ხელოვნებასთან დაკავშირებული ქართველი ორჯერ ქართველია, შენ როგორ ფიქრობ ჩემი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს მხატვრობისთვის თავი რომ არ დამინებებია და ხშირად ქართული სიმღერები შემოძახილზე უარს რომ არ ვამბობ, ამით საზოგადოების თვალში რამე მაკლდება, თუ პირიქით მემატება“. არ ვიცი ამ დიალოგის დროს ვინ ვიყავით მართალი მე თუ ბატონი ვახტანგი ეს თავად მკითხველმა განსაჯოს.

ბატონი ვახტანგის მაღალი ადამიანურ თვისებების არა ერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ბოლო პერიოდში „სახალხო



კრების“ აჭარის წარმომადგენლობაში ერთად მუშაობის ფაქტზე შეეხერხები, რადგან იგი სიცოცხლის ბოლო დღეებში „სახალხო კრების“ აჭარის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა. ამ მოვალეობის შესრულების დროს, გარდაცვალებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, როდესაც სათათბიროს მორიგ სხდომას ატარებდა, იგი ყველასაგან მოულოდნელად ალაპარაკდა მის დიდ ტკივილზე და განაცხადა, რომ მას დიდი დღე არ უწერია, მან არა ერთი გულდასაწყვეტი და მოულოდნელი განცხადებები გააკეთა, მან მოითხოვა თავჯდომარის დამატებით კიდევ ერთი მოადგილე აგვერჩია და ამ მოვალეობის შემსრულებლად გიული ჯაყელს გაუწია რეკომენდაცია. იქვე დაამატა, რომ დამატებითი უფლებებით აღიჭურვებოდა მისი მოადგილე ბატონი ცისკარ გოგიტიძე.

ერთ ფაქტს, ანუ უხერხულობას გავიხსენებდი, რომელსაც იმ დღეს ჰქონდა ადგილი, რომელიც თავისი არსით მრავალისმთქმელია. სათათბიროს სხდომის დამთავრებამდე ბატონ ვახტანგს, როგორც სხდომის თავმჯდომარეს განცხადებისათვის სიტყვა ვთხოვე და თანხმობაც მივიღე, მაგრამ ერთმა იქვე მდგომმა ახალგაზრდამ სისწრაფით კოლექტიური სურათის გადაღების ორგანიზება დაიწყო, ამის გამო სათათბირო სხდომაზე განცხადების საშუალება არ მომეცა.

იმ ახალგაზრდის სულსწრაფვის გამო ჩემი

უკმაყოფილება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მეც ხელოვნურად შექმნილი უხერხულობას შეგუებული ვიყავი, მაგრამ ზრდილობით გამორჩეული ბატონი ვახტანგი ტელეფონით დამიკავშირდა და იმ ახალგაზრდის სულსწრაფობისა და უტაქტობის გამო ბოდიში თავად მომიხადა და უხერხულობაში ჩამაგდო. ეს მხოლოდ მაღალი ზნეობის მატარებელ და კარგად აღზრდილ ადამიანს შეეძლო. სწორედ ასეთი გახლდათ ბატონი ვახტანგი, ვინც თავისი ცხოვრების წესითაც გამორჩეული გახლდათ.

აქვე დავამატებ იმასაც, რომ მისი დამოკიდებულება ადამიანებისადმი იყო კეთილსინდისიერი, მაღლი ზნეობის მატარებელი, რადგან იგი თავად ამ კატეგორიის ადამიანებს მიეკუთვნებოდა.

სამწუხაროდ ადრე შეწყდა ბატონი ვახტანგის სიყვარულით სავსე გულის მუშაობა. მან ძალიან ბევრ ადამიანს დაწყვიტა გული. მის მეგობრებს ისღა დაგვრჩენია მის ხსოვნას პატივი მივაგოთ. შთამომავლობას უნდა ვასწავლოთ, რომ იყო თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული, ინტელექტით გამორჩეული პიროვნება ბატონი ვახტანგ ახვლედიანი.



მზევინარ ძირკვაძე,

პოეტი

მოულოდნელი მიმოქცევის შემოქმედი...

საოცრად სიტყვამადლიანი და სიტყვამარილ-იანი, დღემუდამ ოპტიმისტური განწყობილების მქონე, გულწრფელი, ალაღმართალი, პირუთვნე-ლი, უკომპრომისო, ძალიან უბრალოც და ამაყ-დროულად ამაყიც, სხვათა ტკივილების დამნახავი და გამზიარებელი, სამშობლოსადმი ზენაარი სი-ყვარულით დაჯილდოებული - ასეთია პიროვნული პორტრეტი ადამიანისა, რომელიც დღეს თითქოს ჩვენგან განდგომილა, მაგრამ სულით ჩვენს შო-რის რჩება...

არჩევანში არასდროს ცდება დემიურგი – უხილავი შემოქმედი. არც ბატონ ვახტანგთან მიმართებაში გამოპარვია სულ მცირეოდენი ლაფ-სუსიც კი, რამეთუ ამ დიდბუნებოვან ადამიანს გულუხვად დაენათლა მრავალმხრივი, ხალასი ნიჭი; ნიჭი, სიტყვაკაზმული მწერლისა, ფერთა მე-ტყველებისა, ებოძა საოცრად ღირიული და სა-სიამოვნო ხმა კაცთა ტკბობისათვის.

სულ სხვა მეტრით გასაზომია მადლი და სიკ-ეთე, რომელიც ვახტანგ ახვლედიანის ადამიანურ „მე“-ს მართავდა. ამ დიდებულ ქართველ მწერ-



აღსა და მამულიშვილში ჩაკირული იყო სამ-
შობლოს სიყვარულისა და თავდადების, წარსუ-
ლის დიდებისა და წინაპართა პატივების, სამარ-
თლიანობისათვის ბრძოლის დაუოკებელი ჟინი.
უფრო მეტის თქმა შეიძლება – ვახტანგ ახვლე-
დიანში არ არსებობდა პირადი „ეგო“. იგი მხ-
ოლოდ სამშობლოსთან და ქართულ სიტყვასთან
ასოცირდებოდა.

მჯერა, ვახტანგ ახვლედიანის სულიერ მიმო-
ქცევა-მიმოსვრებს გააგრძელებს მისი ძარღვიანი,
ბასრი, ღრმად დამაფიქრებელი სიტყვა-თქმანი,
რომლის სურნელითაც გაჯერებულია მისი შემო-
ქმედებითი ლაბორატორია.

დღეს განგებამ სულ სხვა, ჩვენთვის უხილავ
სამყაროში გარდასახა ძვირფასი ადამიანი. აქ კი,
ჩვენთან ერთად, ჩვენს წარმოსახვაში სულ იარ-
სებებს მისი კოლორიტული და ინტელიგენტური
პროფილი. მის სათაყვანებელ ხალხში სიცოცხ-
ლეს გააგრძელებენ მისივე უკვდავი გმირები –
ღვთაებრივად უბრალო ადამიანები.

**ცისიერ შუქით გაბრწყინებული
ოცნებით სავსე, ფართო თვალებით
იგი დაადგა გზას მარადიულს
მიწას კი შერჩა ნატერფალები.**

-



გიული ჯაყელი,

„სახალხო კრება“ აჭარის
რეგიონული ორგანიზაციის
თავმჯდომრის მოადგილე

აღლამართალი, კეთილშობილი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, დიდი მამულიშვილი, ერისკაცი და ერის ქომაგი, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.

ვახტანგ ახვლედიანი იყო სამაგალითო და მისაბაძი პიროვნება, მისი ცხოვრების წესი მაგალითია ჩვენთვის. ძნელია გიყვარდეს შენი ქვეყანა ისე, ეფერებოდე შენს ხალხს და მამულს ისე, როგორც შეეძლო მას. დიდია ტკივილი და დანაკლისი, მძიმეა განცდა, რომ ის აღარაა ჩვენს გვერდით.... ნუგეშად დაგვიტოვა კაცობის, ქართველობის უბადლო მაგალითები მისი ნაწარმოებების სახით.

იძინე მშვიდად ბატონო ვახტანგ, დაისვენოს თქვენმა ბობოქარმა სულმა, ჩვენ, თქვენი თანამებრძოლები გავაგრძელებთ ბრძოლას ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის, იმ დიადი მიზნების განსახორციელებლად, რასაც ქვეყნის გამთლიანება და გაბრწყინება ჰქვია.

ირაკლი (მაილო) ჯაში,

მეგობარი

გულითადი მშობარის ვახტანგ ახვლედიანის
ხსოვნას

ჭეშმარიტი ქართველი ვახტანგ ახვლედიანი მრავალმხრივ ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო, უდაოა, რომ იგი იყო ნაღდი მეგობარი, ძლიერ უხდებოდა ბათუმს და რაოდენ სამწუხაროა, რომ უკვე წარსულ დროში გვიწევს მასზე საუბარი, რადგან ფიზიკურად ჩვენს შორის აღარაა.

ქალაქს, მეგობრებს, სუფრას, საქართველოს დააკლდა მისი ხალისი იუმორი, ძლიერი ხმა.

იგი ერთნაირად იბრძოდა, როგორც სამწერლო ასევე პოლიტიკურ ფრონტზე ეროვნული მუშების, ღირსების, სამშობლოს დასაცავად. იგი ყოველთვის იდგა იქ, სადაც მამული უხმობდა. შეუმცდარი ბილიკებით გამოიარა ცხოვრების გზა და ღირსეული მწერლისა და მამულიშვილის სახელით დაგვტოვა.

ჭეშმარიტო მამულიშვილო და ნამდვილო ერისკაცო, ნათელი სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

პატივისცემით და ღრმა გულისტკივილით შენი მაილო.



თენგიზ ცეცხლაშვილი –

პროფესიით პედაგოგი, თადარიგის უფროსი ოფიცერი, 2002 წელს გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და უმაღლესი მოხვეჭა ნაყოფიერი შემოქმედის სახელი. ზედმიხედ გამოსცა ისტორიულ-ჰეროიკული

პოემები „გვირგვინოსანნი“, „ჩემი დეღე-ღურდანი“ და „უმეფობის ჟამს“. ისინი ავტორმა ქველმოქმედების წესით საქართველოს სხვადასხვა სოფელსა თუ ქალაქში ჩამოარიგა, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. თენგიზ ცეცხლაშვილის ღვაწლს სათანადოდ აშუქებდნენ ქვეყნის მასმედიის სხვადასხვა საშუალებები. მათ შორის საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, რადიოს სხვადასხვა არხები და ა. შ.

ვაფასებთ რა ამ მხრივ გაწეულ მის ამაგს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აწ გარდაცვლილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **მალხაზ სიორიძის** მოსაზრებას, რომლის თქმითაც: „გალექსილი „ქართლის ცხოვრება“ უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის, არჩილ II, თეიმურაზ I, ფეშანგი ხითარაშვილის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვათა ისტორიულ პოემებში აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის სხვადასხვა მომენტი, რასაც ქართველთათვის დიდი შემეცნებით-აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

ოგივე უნდა ითქვას ჩვენი თანამედროვე ავტორის თენგიზ ცეცხლაშვილის ისტორიულ-ჰეროიკულ პოემაზე „გვირგვინოსანნი“, რომელშიც გამოჩენილ ქართველთა მეფეთა მოღვაწეობის ძირითადი მომენტების წარმოჩენის ფონზე, მარტივი ლექსის ფორმით გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან – მე-19 საუკუნის 10-იან წლებამდე... თენგიზ ცეცხლაშვილის „გვირგვინოსანნი“

ლადი ენით დაწერილი ისტორიული პოემაა და მთლიანობაში საინტერესოდ იკითხება. მიგვაჩნია, რომ იგი, როგორც დამატებითი ლიტერატურა, დაეხმარება მოსწავლეებს საქართველოს ისტორიის მხატვრულად გააზრებასა და შესწავლაში“.

ანალოგიურად შეფასდა პოემა „ჩემი დღე-ღურდანი“, რომელშიც საქართველოს განუყოფელი კუთხის, აჭარის ისტორიაა წარმონიღი და „უმეფობის ჟამს“, რომელშიც აღწერილია საქართველოს ბედკრული ისტორია მეფობის და კარგვის ხანიდან დღემდე.

გარდა ზემოთქმულისა, თენგიზ ცეცხლაშვილი ჰიმნებისა და ლირიკული ლექსების ავტორიცაა, რომელიც პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. ის ოცხე მეტი წიგნის ავტორი გახლავთ.

ჯემალ ხოფერია,

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

ს ა რ ჩ ე ვ ა

| | |
|----------------------------------------------------------------|----|
| საქართველოს მწერალთა კავშირი, | |
| საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია | 2 |
| ავტორისაგან | 5 |
| ვანტანგ ახვლედიანი მამულის სადარაჯოზე | 19 |
| ვანტანგ ახვლედიანის ხსოვნას | |
| საქართველოს მწერალთა კავშირი | 41 |
| „სახალხო კრება“ | 42 |
| „სახალხო კრების“ აჭარის რეგიონული ორგანიზაცია | 43 |
| საროპტიმისტთა კლუბი „ბათუმი“ | 44 |
| თქვენი „აჭარა P.S.“ | 46 |
| გაზეთ „აჭარა“ და „ადჟარიას“ თანამშრომლები, მეგობრები | 48 |
| ცისანა ანთაძე | 50 |
| გიორგი (იური) ბიბილეიშვილი | 52 |
| ნიკოლოზ ბოლქვაძე | 53 |
| გულიკო გაბაიძე | 55 |
| ცისკარ გოგიტიძე | 57 |
| ანა ღუნდუა | 58 |
| ნოდარ (სპარტაკ) ვანაძე | 59 |
| შოთა ზოიძე | 61 |
| დავით თედორაძე | 63 |
| ასლან კაკაბაძე | 65 |
| ანზორ კუდბა | 68 |
| ზაურ სოლომონიძე | 69 |
| გენრიეტა ქუთათელაძე | 70 |
| ვანტანგ ლლონტი | 72 |
| თამაზ ცინცაძე | 73 |
| მზევინარ ძირკვაძე | 77 |
| გიული ჯაყელი | 79 |
| ირაკლი (მაილო) ჯაში | 80 |

ოპერატორი – ქეთევან ჯაიანი

ტირაჟი 100



ჩემი დარღის შენ ხარ მესაიდუმლე,
ტკივილების ერთად ერთი ძალამო,
შენს მეოხედ, შენს მესოტბედ მიგულებ,
შენდობის და მიტევების ქალაქო.

შენ ძალადი თავდადება გჩვევია,
ერის სიბრძნევ, სიწმინდე და ამაგო.
გზმნობა შენი ჩემთვის უველაფერია,
ლოცვავ ჩემო, ჩემო ბათუმ-ქალაქო.

